კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი გიორგი ყიფშიძე

თურქეთის როლი და აქტივობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წარმოდგენილ საერთაშორისო ორგანიზაციებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მაია კაპანაძე

თბილისი - 2020

ანოტაცია

თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციებში. ეს იყო „ერთა ლიგა, „გაერო“, „ნატო“ და ა. შ. თურქეთი კარგა ხანია აქტიურობს „ევროკავშირის“ სრულუფლებიან წევრობაზე, რახ სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდე ვერ მოხერხდა. თურქეთი საკმაოდ აქტიური ნატოს წევრი ქვეყანაა, რომელსაც თავისი სამხედრო თვალსაზრისით ამ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მიუხედავად მათ შორის ბოლო დროს არსებული გარკვეული წინააღმდეგობებისა. მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა თურქეთისათვის ნატო და ნატოსთვის თურქეთი, საკმაოდ სერიოზულ პარტნიორებს წარმოადგენენ.

თურქეთი აქტიურადაა ჩართული ახლოაღმოსავლეთის რეგიონალურ და ამავე დროს მუსლიმური სამყაროს ორგანიზაციებშიც, რომელთა წევრობაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თურქეთისათვის თავსი ამბიციური ლიდერობიდან გამომდინარე. ის იყო „ბაღდადის პაქტის“ და „სენტოს“ არა რიგითი, არამედ წევრი ქვეყანა. ეს ორგანიზაციები ჩვეულებრივ სამხედრო პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ეს ქვეყანა არამარტო სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოირჩევა თავისი აქტიურობით, არამედ საკუთრივ მუსლიმურ სამყაროშიც. მიუხედავად იმისა, რომ ის სეკულარული ქვეყანაა, თავს ისლამური სამყაროს ლიდერად მიიჩნევს, რაც გამომდინარეობს „პანოსმანიზმის“ იდეოლოგიიდან. აქედან გამომდინარე, თურქეთი „ისლამური სამყაროს ლიგის“ („ისლ“, „ითოსა“ და „იკოს“) ერთ-ერთი აქტური წევრია ამ ორგანიზაციების შექმნიდან დღემდე.

Anotation

As soon as Turkey was declared a republic, it became actively involved in international organizations. These were the League of Nations, the UN, NATO and so on. Turkey is actively operating to become a full-fledged member of the European Union, which has failed for various reasons till now. Turkey is a very active NATO member country, which holds a prominent place in terms of its military presence, despite some recent controversies. Despite these contradictions for Turkey NATO and Turkey for NATO are quite serious partners.

Turkey is also actively involved in Middle East regional and at the same time Muslim organizations, whose membership is also very important for Turkey, given its ambitious leadership. It was a member of the Baghdad Covenant and Sento, not an ordinary state. These organizations are usually military political organizations. This country is not only active in the military-political arena, but also in the Muslim world itself. Although it is a secular country, it considers itself to be the leader of the Islamic world, stemming from the ideology of "Panosmanism". Therefore, Turkey has been one of the most active members of the Islamic World League (Isl, Ito and Ico) since the establishment of these organizations.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. თურქეთის რესპუბლიკის საერთაშორისო პოლიტიკა

1.1. ოსმალეთის იმპერიის დასასრული და თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადება...9

1.2. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები…..17

1.3. თურქეთის როლი და ადგილი ერთა ლიგასა და გაეროში……..27

თავი I I. თურქეთი ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში

2.1. თურქეთი ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ქვეყანა…….35

2.2.პრობლემები თურქეთ-ნატოს ურთიერთობებში ახლო აღმოსავლეის პოლიტიკური კრიზისის ფონზე……....41

2.3. თურქეთი და ევროკავშირი-პრობლემები და გამოწვევები…….46

თავი I I I. მუსლიმური საერთაშორისო ორგანიზაციები და თურქეთის ინტერესები

3.1. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ბაღდადის პაქტი და სენტო……...…….53

3.2.ისლამური სამყაროს ლიგა და თურქეთს სწრაფვა ისლამური სამყაროს ლიდერობისაკენ.....57

3.3.თურქეთი ისლამური თანაშრომლობისა (ითო) და ისლამური კონფერენციების ორგანიზაციების (იკოს) წევრი ქვეყანა.....62

დასკვნა……..……..70

გამოყენებული ლიტერატურა……..72

შესავალი

თემის აქტუალობა

თურქეთი, როგორც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობს საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე რეგიონალური თვალსაზრისითაც. ის ერთ-ერთი აქტიური წევრია ნატოსი. ასოცირებული წევრი ევროკავშირისა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ის ასევე ინტენსიურადაა ჩართული ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ ორგანიზაციებში და უფრო მეტიც, ის მათ საქმიანობაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ არჩეული სამაგისტრო თემა აქტუალურია.

საკვლევი კითხვები

- თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებიდან რა მნიშვნელობას იკავებს მის საგარეო პოლიტიკაში საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება?
- რა როლი და ადგილი აქვს თურქეთს გაეროსა და ნატოში და რა პერსპექტივა აქვს მის ევროკავშირში გაწევრიანებას?
- რამდენად უწყობს ხელს თურქეთის გაწევრიანება რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში მის სწრაფვას ჰეგემონობისაკენ?

თემის ჰიპოთეზა

თურქეთისათვის გაეროსა და ნატოს გარდა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული საერთაშორისო ორგანიზციებიც. რეგიონში მისი პოლიტიკური ჰეგემონობის მისწრაფებიდან გამომდინარე, მათ წევრობასა და ამავდროს დამოკიდებულებას თურქეთი დიდ ყურადღებას აქცევს.

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენი თემის მიზანია განსაკუთრებული აქცენტის დასმა იმ ძირითად რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციების („ისლ“, „ითო“, „იკო“...) როლისა და მნიშვნელობის შესწავლაზე, რომელშიც თურქეთია გაწევრიანებული. ბუნებრივია ვერ ავცდით იმ საკითხს თუ რა ადგილი აქვს თურქეთს მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საკვლევი თემიდან გამომდინარე დასახულ ამოცანებში სხვადასხვა ენაზე არსებული მასალების შესწავლისა და გაანალიზების მეშვეობით ავსახეთ თურქეთის ინტერესები, როგორც ძირითად, ასევე რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში და ხაზი გავუსვით ორგანიზაციების წევრობის მეშვეობით თურქეთის პოლიტიკური როლის გააქტიურებას ახლო აღმოსავლეთში.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

აღნიშნულ ნაშრომში გამოვიყენეთ „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“ -კოენისეული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევაში გამოყენებულია „უსაფრთხოების დილემა“ და კონფლიქტის მაგალითები.

ჩვენს თემაში ასევე გამოვიყენეთ „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“ -კოენისეული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევის მეთოდები

თემის დამუშავების დროს გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდებს. ესენია : ისტორიულ-აღწერილობითი, ინტერდისციპლინარული მეთოდი, არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა, ნარატიული ანალიზი, კონტენტ-ანალიზი.

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

შეძლებისდაგვარად თემის გარშემო არსებულ მასალებზე წვდომიდან გამომდინარე შევქმენით აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი გამოსადეგი იქნება თურქეთის პოლიტიკური კურსითა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი ჩართულობისა და აქედან გამომდინარე ამ ორგანიზაციებისადმი თურქეთის ინტერესების კვლევით დაინტერესებული პირებისათვის. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ლექცია - სემინარებისათვისაც.

კვლევის შედეგების განხილვა

ჩვენს მიერ ჩატრებული კვლევის შედეგად, ვეცადეთ გაგვერკვია, ის მნიშვნელობა რაც აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებს თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმატებისათვის. აქცენტი არამარტო იმ ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციებზე გავაკეთეთ, რომელთა წევრი თურქეთი კარგა ხანია არის, ანდა ჰქონდა მცდელობა მისი წევრობისა, არამედ იმ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებზეც, რომლებიც გარკვეული პოლიტიკურ ამინდს ქმნიან ახლო აღმოსავლეთში თურქეთის ჰეგემონის როლის დასამკვიდრებლად.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

ჩვენი თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია მ. სვანიძის წიგნმა „თურქეთის ისტორია“. თბილისი, 2007. მასში აღწერილია თურქეთის ისტორია უძველესი დროიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. ამ წიგნში მთლიანად აქვს დათმობილი ადგილი თურქეთის ისტორიის განვითარების ეტაპებსა და დიპლომატიურ ურთიერთობებს, რაც ძალიან გამოგვადგა თემის დამუშავებისას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები შესწავლილია გ. ალასანია, გ. სანიკიძე, ნ.გელოვანის ერთობლივი ნაშრომი. თბილისი, 2011, სადაც დეტალურად განხილულია თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, რაც დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა თურქეთსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის არსებული მრავალმხრივი ურთიერთობები.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის უახლესი პრიორიტეტები კარგად აქვს შესწავლილი ემზარ მაკარაძეს თავის ბოლო დროს გამოცემულ სამეცნიერო მონოგრაფიაში „თურქეთის ისტორია", თბილისი. 1918-2019წწ. მასში კონკრეტულად ასახულია შეცვლილი პოლიტიკური ვითარების ფონზე, თურქეთის მიდგომები და დამოკიდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

Aras, Bulent. The New Geopolitics of Eurasia and Turkey's position. London: Frank Cass, 2002. ამ წიგნში განხილული და შესწავლილია თურქეთის ინტერესები არამარტო ნატოსა და ევროკავშირისადმი, არამედ იმ ორგანიზაციებისადმიდაც, რომლების კონკრეტულად ამ რეგიონშია წარმოდგენილი, ან მხოლოდ ისლამურ სამყაროს ეკუთვნიან.

თურქეთის რეგიონალური საგარეო პოლიტიკა აქვს განხილული, Davutoglu, 2012 – Davutoglu A., Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring, SAM Vision Papers (No. 3, April) ეს ნაშრომი ჩვენი სამაგისტრო თემისათვის იმხრივ არის საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომ დავით ოღლუს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი და გაანალიზებული თურქეთის რეგიონულ პოლიტიკაში ნატოს როლი და ევროკავშირში ამ ქვეყნის მისწრაფების მიზნები. მასში ასევე გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ისლამური ორგანიზაციების როლსაც თურქეთის რეგიონალურ პოლიტიკაზე.

თავი I

თურქეთის რესპუბლიკის საერთაშორისო პოლიტიკა

თურქეთს დიდი ისტორია აქვს, როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური და კულტურული თვასლასზრისით. მნიშვნელოვანია მისი ურთიეთიერთობები გლობალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „ნატო“ და „ევროკავშირი“, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თურქეთისთვის ახლო აღმოსავლეთში არსებულ რეგიონულ ორგანიცაციებს. აღსაღნიშნია ის რომ თურქეთი დიდი ხანია ცდილობს ძალთა ბალანსის თეორიის თავის თავზე მორგებას. ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელწიფოების ძირითადი ამოცანაა თვითგადარჩენა და თვითდამკვიდრება, რომლის აუცილებელი პირობაა უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. თურქეთის შემთხვევაში მისი ინტერესები საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური სურვილების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს, რათა უფრო მეტი სარგებელი ნახოს და მყარად იდგეს ისლამური სამყაროს ლიდერად.

1.1. ოსმალეთის იმპერიის დასასრული და თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადება

ოსმალეთის იმპერიის კაპიტულაციის შემდეგ ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების დაარსება, რომლებიც იქმნებოდნენ ქვეყნის

ტერიტორიების დასაცავად. პოლიტიკური პარტიების აქტიურობით გამოირჩეიოდა სტამბული. ისინი ცდილობდნენ თურქეთის ერთიანობის დაცვისათვის შეექმნათ ეროვნული ბლოკი. ეს პოლიტიკური პარტიები იმედს გამოთქვამდნენ, რომ დაიდებოდა „სამართლიანი“ სამშვიდობო ხელშეკრულებები , რომელიც დამყარებული იქნებოდა აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის დეკლარაციის მეთოთხმეტე პუნქტზე. ამას გარდა აუცილებელი იყო ანტი იმპერიალისტური სახალხო მოძრაობის დაწყებაც. ქვეყნის გადარჩენისათვის განსაკუთრებით აქტიურობდა მუსტაფა ქემალ ფაშა. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ის პირები, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ოკუპანტების საქმიანობით და ასევე სულთნის მთავრობის შემრიგებლური პოლიტიკითაც.

1919 წლის 19 მაისს მუსტაფა ქემალი ჩავიდა სამსუნში და ამიტომაც თურქულ ისტორიოგრაფიაშიც „19 მაისი ითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების თარიღად, რომლის მთავარი ცენტრი ანატოლია იყო.“[1]

ანკარაში 1920 წლის 23 აპრილს თურქეთის დიდი ეროვნული კრება გაიხსნა. მისი პირველი თავჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალი. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო თავისი თავი კი ქვეყნის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლად. ამი შესაბამისად სულთნის მთავრობა კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. ამ დროიდან ფაქტობრივად, თურქეთში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა: ერთი იყო სტამბოლში სულთნის მთავრობა, მეორე კი ანკარაში - ქემალისტების მთავრობა.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევის შემდეგ მუსტაფა ქემალის უმთავრესი ამოცანა გახდა ოსმალეთის სასულთნოს გაუქმება, რომელიც ფაქტობრივად უმოქმედო იყო უკვე და თურქეთში რესპუბლიკური წყობილების დამყარება. მათი აზრით, სულთანი დროებით იმყოფებოდა ინგლისელთა „ტყვეობაში“, რომ მალე შესაძლოა აღდგენილიყო სულთნის ხელისუფლება და რის

[1] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000) თბილისი, 2007 გვ. 378-383

შედეგადაც დიდი ეროვნული კრება შეწყვეტდა ფუნქციონირებას. მუსტაფა ქემალი ზოგიერთი პარტიის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას მთლად არ იზიარებდა, მაგრამ აშკარად არ გამოდიოდა ამ აზრის წინააღმდეგ. მუსტაფა ქემალ ფაშას ამ ეტაპზე არ უნდოდა სასულთნოს გაუქმებას, მისთვის სასურველი იყო სულთნის ავტორიტეტის შელახვა, რაც გამოიწვევდა სულთნის პოზიციების დასუსტებას, რითაც ხელსაყრელ პირობას შემდგომში მისი დამხობისათვის. მუსტაფა ქემალის თვლიდა რომ , არ მომხდარიყო სულთან მეჰმედ IV-ის ტახტიდან ჩამოგდება და მისი ჩანაცვლება სხვა სულთნით, რადგანაც სულთანი იმყოფებოდა სტამბოლში, და აქედან გამომდინარე არ დაემორჩილებოდა ანკარაში მყოფი ეროვნული კრების გადაწყვეტილებას. ამ ნაბიჯს მუსტაფა ქემალის აზრით შესაძლოა გამოეწვია ანკარადა და სტამბულის მთავრობებს შორის დაპირისპირება და დინასტიური ომი. მუსტაფა ქემალი მოითხოვდა, ახალ კანონში რომელიც დიდ ეროვნულ კრებას უნდა მიეღო, ყოფილიყო შეტანილი მუხლი „სულთან-ხალიფას“ შესახებ.[2]

1921 წლის 20 იანვარს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი „ძირითადი ორგანიზაციების შესახებ“. ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის დროებითი კონსტიტუცია, ამით დაადასტურდა, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არის ამ ქვეყნის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება. ამ დადგენილებაში, „სულთან ხალიფას“ შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ცოტახნით სულთანმა ფორმალურად კიდევ შეინარჩუნა თავის ხელისუფლება „ხალიფას“ ტიტულთან ერთად. სულთნის მომხრე და ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები გამოდიოდნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ. რომლებიც ამტკიცებდნენ, თურქეთში შეუძლებელია რომელიმე მმართველობის ფორმის არსებობა გარდა „სასულთნოსა და სახალიფოსა“. ამ ოპოზიციური პარტიების მიზანს წარმოადგენდა „სულთან-ხალიფას“ ხელისუფლების აღდგენა. აქედან გამომდინარე ოპოზიციას სურდა თურქეთის ეროვნული კრების დათხოვა და ხელისუფლების გადაცემა „კანონიერი

[2] გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი, თბილისი, 2011. გვ. 454-456

მფოლობელი“ სულთნისათვის. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მუსტაფა ქემალ ფაშამ გადაწყვიტა სულთნის ხელისუფლების გაუქმება. მაგრამ მას კარგად ახსოვდა ეროვნულ კრებაში დროებითი კონსტიტუციის მიღების დროს, ოპოზიცია როგორ თავდადებით იცავდა სულთანს. 9 თვიანი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა კომპრომისული წინადადება. მუსტაფა ქემალს კარგად ესმოდა, რომ ერთდროულად სულთნის საერო და სასულიერო ხელისუფლების გაუქმება დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა. თუნდაც იმისდამიუხედავად რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს სულთანმა დაკარგა რეალური ძალაუფლება და მისი ავტორიტეტი ძალზე შეირყა. მაგრამ, მაინც ის ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებში დიდი გავლენით სარგებლობდა. მუსტაფა ქემალმა ამ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის მიზნით გადაწყვიტა სულთნის ხელისუფლების ორად გაეყო და ეტაპობრივად მისი გაუქმება, რათა ამ ფაქტს არ მოჰყოლოდა სულთნის მომხრეების გამოსვლები. თვალში საცემი იყო ის ფაქტი რომ სულთან-ხალიფას თანამდებობაზე დატოვებას მხარს უჭერდნენ თვით მუსტაფა ქემალის უახლესი თანამებრძოლების ნაწილიც კი.[3]

1922 წლის 30 ოქტომბერს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე შეიტანეს წინადადება რომ სულთნის მიერ ქვეყნის ინტერესების ღალატის გამო მისთვის საერო ხელისუფლების (სულთნის) ჩამორთმევისა და მისთვის მხოლოდ სასულიერო (ხალიფას) ხელისუფლების დატოვების შესახებ. აღნიშნული წინადადება არ იქნა მიღებული. „კლერიკალები ამტკიცებდნენ, რომ საერო ხელისუფლების გამოყოფა სასულიეროსაგან წარმოადგენს რელიგიურ საწყისებზე თავდასხმას, რომ ფადიშაჰის პრეროგატივები წმინდაა და განასახიერებს ამ ქვეყნად ღმერთის ხელისუფლებას.“ [4]

---

[3] Fortna, Benjamin C. Imperial Classroom: Islam, the state and Educatin in the Late Ottoman Empire. Oxford University Press, 2002 გვ 40-44

[4] Fortna, Benjamin C. Imperial Classroom: Islam, the state and Educatin in the Late Ottoman Empire. Oxford University Press, 2002 გვ 48-49

ამის გამო მუსტაფა ქემალ ფაშა იძულებული გახდა გაეკეთებინა ვრცელი მოხსენება ისლამის, სახალიფოსა და ოსმალეთის ისტორიის შესახებ. რათა უკუეგდო კლერიკალი დეპუტატების არგუმენტები, მაგრამ კლერიკალები განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას და ასაბუთებდნენ „ხალიფობის“ სულთნის ხელისუფლებისაგან გამოყოფის შეუძლებლობას. ამ წინააღმდეგობებიდან გამომდინარე მუსტაფა ქემალმა აშკარად ვერ გაბედა გამოსულიყო სასულიერო პირების წინააღმდეგ, მაგრამ მოიყვანა დამაჯერებელი არგუმენტები მათი უსაფუძვლო დებატების წინააღმდეგ. მისმა ამ ქმედებამ შედეგი გამოიღო და მალე სხდომაზე ერთხმად მიიღეს კანონი სულთნის საერო ხელისუფლების გაუქმების შესახებ.

ამის საფუძველზე 1922 წლის 1 ნოემბერის „ეროვნული კრების“ დაადგენილებით გაუქმდა სულთნის საერო ხელისუფლება. სულთნის საერო ხელისუფლების გაუქმებასთან ერთად, არსებობა შეწყვიტა სულთნის მარიონეტულმა მთავრობამაც, მთლიანი ხელისუფლება სტამბულში ეროვნული კრების ხელში გადავიდა. ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI 1922 წლის 17 ნოემბერს, ინგლისელების დახმარებით, გაიქცა თურქეთიდან. მეორე დღესვე, 18 ნოემბერს უფლისწული აბდულ-მეჯიდი არჩეულ იქნა „ყველა მუსლიმთა ხალიფად“.

ეროვნულმა მთავრობამ რომელმაც გააუქმა სულთნის საერო ხელისუფლება, აბდულ-მეჯიდს დაუტოვა სასულიერო ხელისუფლება (ხალიფობა). საკითხის ამგვარად გადაწყვეტა იყო დათმობა ფეოდალურ-კლერიკალული წრეების მიმართ, მაგრამ მუსტაფა ქემალი არ აპირებდა შუა გზაზე გაჩერებას. ამის შემდეგ მისი მიზანი იყო თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადება.

მუსტაფა ქემალის სურვილისდა მიუხედავად მისი მომხრეების გარკვეული ნაწილი - ქემალისტების უმრავლესობა თვლიდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო ნახევრად თეოკრატიული რეჟიმი. პარლამენტში (მეჯლისში) ერთ-ერთმა მთავარმა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება - თურქეთი

გამოეცხადებინათ კონსტიტუციურ მონარქიად. ოპოზიციონერები მოითხოვდნენ, რომ გადაეცათ ხელისუფლება სულთნისათვის.

მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა საბოლოოდ ოპოზიციის წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით დაეარსებინა პოლიტიკური პარტია და ვადამდე ადრე ჩაეტარებინა პარლამენტის არჩევნები.

1923 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა დადგენილება პარლამენტის ვადაზე ადრე არჩევნების ჩატარების შესახებ. 1923 წლის 23 ივლისს ჩატარდა მეორე მოწვევის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. რომელშიც ქემალისტებმა მოიპოვეს შთამბეჭდავი გამარჯვება. იმავე წლის 23 აგვისტოს გაიხსნა მეორე მოწვევის თურქეთის დიდი ეროვნული კრება. რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნება მუსტაფა ქემალი. 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიღებული გადაწყვეტილების თანახმად თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად.

ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ უნდა გაუქმებულიყო ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი გადმონაშთი - სახალიფოც. უნდა აღინიშნოს, რომ ხალიფას ირგვლივ შემოიკრიბა ქვეყნის რეაქციული ძალები, რომელთა მიზანი იყო რესპუბლიკური მმართველობის დამხობა და სასულთნოს აღდგენა. ამ განზრახვის მისაღწევად უკანასკნელი ხალიფა აბდულ მეჯიდი კავშირის ამყარებდა ქემალისტების რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტებთან არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნისგარეთაც. ისეთებთან როგორებიც იყვნენ ისლამური ორგანიზაციები, ინდოეთში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში.

ეროვნულ კრებაში მემარჯვენე ლიდერების აზრით თურქეთში სახალიფოს გაუქმების შედეგად, ეს ქვეყანა დაკარგავდა ისლამურ ქვეყნებს შორის წამყვანი სახელმწიფოს ფუნქციას, რის შემდეგადაც მკვეთრად დაეცემოდა თურქეთის საერთაშორისო ავტორიტეტი.

მიუხედავად „ხალიფას“ ინტერესების დამცველთა აქტიურობისა, 1924 წლის 15 თებერვალს მაინც გადაწყდა სახალიფოს გაუქმება. 3 მარტის თურქეთის „დიდი

ეროვნული კრების“ გადაწყვეტილებით სახალიფო გაუქმება. ამის შემდეგ უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ-მეჯიდმა თურქეთი დატოვა.

1924 წლისათვის უკვე საბოლოოდ დასრულდა ოსმალეთის სულთნის როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლება. თურქეთში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, რითაც დაიწყო ახალი ეპოქა თურქეთის ისტორიაში.

თურქეთში სულთნისა და ხალიფას ხელისუფლების გაუქმებისა და რესპუბლიკური წყობის საბოლოოდ დამყარების შემდეგ, ქემალისტები შეუდგნენ რეფორმების გატარებას, რაც მიზნად ისახავდა პოლიტიკური წყობილების განმტკიცებას, ეკონომიკის განვითარებას, ხალხის მასების კულტურული და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.[5]

ხალიფატის გაუქმების შემდეგ, 1924 წლის 20 აპრილს მიიღეს თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომლითაც თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგიად ოფიციალურად გამოცხადებულ იქნა ისლამი. მუსტაფა ქემალს განზრახული ჰქონდა ისლამი გამოეყო სახელმწიფოსგან, მაგრამ დეპუტატებმა მის ამ განზრახვას მხარი არ დაუჭირეს. ამ განზრახვის განხორციელება მან მაინც შეძლო 1928 წელს.

1924 წლის 3 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი შარიათისა და ვაკფების სამინისტროს გაუქმების შესახებ და რომლის ნაცვლადაც დაარსდა კულტურის სამინისტრო. ამ სამინისტროს ხელში გადავიდა მეჩეთების ხელმძღვანელობა. მალევე დაიწყო სამზადისი ევროპული ტიპის ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის.

1925 წელს შემოიღეს ევროპული წელთაღრიცხვა. მანამდე კი ევროპული ტანსაცმლის ტარება დააკანონეს. დასვენების დღე პარასკევიდან გადაიტანეს კვირაზე. ასევე შემოღებული იქნა 1926 წელს ევროპულ ყაიდაზე შედგენილი ახალი სისხლის

[5] ო.გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბილისი, 1963 გვ.114-120

სამართლის კოდექსი. გაუქმდა ადრე არსებული მუსლიმური სამართლის ნორმები. საეკლესიო ქორწინების ნაცვლად დაწესდა სამოქალქო ქორწინება და სხვ.[6]

აღსანიშნავია რომ 1928 წელს რელიგია საბოლოოდ გამოეყო სახელმწიფოს. ამ ფაქტს უძველესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, თურქეთი დღესაც სეკულარული სახელმწიფოა, მაგრამ მიუხედავად ამისა ისლამური ფაქტორი ამ ქვეყანაში მაინც მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა და ასეა დღესაც. ისლამიზმი და ისლამი თავის ძლიერ პოზიციებს და გავლენას ქვეყანაში მუსტაფა ქემალის გარდაცვალებიდან დღემდე სერიოზულად ინარჩუნებს.

რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან არ ნიშნავდა იმას, რომ ქემალისტებმა დაიწყეს ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. თურქეთის იმდროინდელი მთავრობა ცდილობდა რელიგიის გამოყენებას ახალი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ამას ადასტურებს ის ფაქტიც რომ ყურანი არაბულიდან ითარგმნა თურქულ ენაზე, ამას გარდა მინარეთებიდანაც ისმოდა მოეძინის მოწოდება თურქულ ენაზე და არა „წინასწარმეტყველ“ მუჰამადის (არაბულ-ლუღათ ლ-ფუსხა) ენაზე. ამ ღონისძიებების და მიუხედავად ქვეყანაში მაინც იყო გარკვეული შეზღუდვები რელიგიის მსახურებისადმი. ამის კარგი მაგალითია ის, რომ 1934 წელს მთავრობამ აუკრძალა რელიგიური კულტის მსახურებს საეკლესიო სამსახურის გარეთ, საეკლესიო ტანსაცმლის ტარება. მათი სკოლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები გადაეცა განათლების სამინისტროს. ამით საგრძნობლად შემცირდა რელიგიის გავლენა კულტურულ ცხოვრებაზე.

1928 წელს მოხდა ანბანის რეფორმა - არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით.[7] ქემალისტები აცხადებდნენ, რომ ისინი გამოხატავენ ყველა ფენის ინტერესებს, რომ თურქეთში არ არის კლასობრივი საზოგადოება, არ არის კლასები, არ არსებობს

---

[6] Kili Suna. Kemalism in Contemporery Turkey. IPSR, 1980, Vol. 1, N. 3, Political Ideology: It is Impact on Contemporery Political Transformations, გვ. 281-302

[7] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 221-224

კლასობრივი ბრძოლა, ამიტომ საჭირო არ არის კლასობრივი პარტიების არსებობა. 1925 წლიდან თურქეთში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდა. ქვეყნის სათავეში იდგა თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტია. მისი ლიდერები აცხადებდნენ, რომ მათი პარტია მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს. პრემიერ-მინისტრი ისმით ინონუ, რომელიც ათათურქის მარჯვენა ხელი იყო, თანდათანობით ცილდებოდა იმ პრინციპებს, რომლებიც მუსტაფა ქემალის მიერ იქნა წამოყენებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში. ამის გამო თავისთავად დაიწყო ისმით ინონუსა და ათათურქს შორის დაშორება. ამას შედეგად მოჰყვა ის რომ 1937 წლის 25 ოქტომბერს ათათურქმა გადააყენა იგი პრემიერ-მინისტრობიდან. მის ადგილზე დანიშნა ჯელალ ბაიარი.

1938 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა ათათურქი. მას დიდი წვლილი მიუძღვის სულთნის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გაუქმებაში და რესპუბლიკური წყობილების დამყარებაში. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ათათურქს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა „სახელმწიფოს მუდმივი მეთაურის“ წოდება“. 1938 წლის დეკემბერში ჩატარდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ყრილობა, რომელმაც ისმით ინონუ აირჩია პარტიის მუდმივ თავჯდომარედ. ამავე წელს ისმით ინონუ გახდა ქვეყნის მეორე პრეზიდენტი.

1.2. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდიდანვე ქვეყანა აქტიური საგარეო კურსის გატარებას შეუდგა. თურქეთის რესპუბლიკამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საგარეო სარბიელზე, რათა განესაზღვრა თავისი ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკაში მუსტაფა ქემალი იცავდა „თანაბარი სიშორის“ პრინციპს, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის

სუვერენიტეტის დაცვა. მისი ლოზუნგი იყო „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში“. თურქეთისათვის მნიშვნელოვან საგარეო პრიორეტეთებთაგან აღსანიშნავი იყო იმ დროისათვის მოსულის ველაიეთის საკითხი და აშშ-სთან პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა.[8]

თურქეთისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრეტა სანჯაყის (ჰათაის ილის) საკითხვის გადაწყვეტილებაც, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეს ტერიტორია შევიდა სირიის შემადგენლობაში, რომელიც საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიას წარმოადგენდა. ასევე ათათურქის საგარეო პოლიტიკის წინაშე იდგა საბერძნეთთან მოსახლეობის გაცვლის საკითხიც. ასევე ქვეყანაში უცხოური კონცესიების, სკოლების, სავაჭრო პალატების და სხვ. მოქმედების პირობების განსაზღვრა.

თურქეთის რესპუბლიკის წინაშე იდგა ასევე ოსმალეთის იმპერიის (რომლის სამართალმემკვიდრეც თურქეთის რესპუბლიკაა) დროინდელი ვალების პრობლემაც. 1854 წლიდან 1914 წლამდე ოსმალეთის იმპერიას თითქმის 40 ჯერ მიეცა სესხი ევროპული სახელმწიფოების სხვადასხვა ბანკებიდან. ამ ვალებში თურქეთის წილი გასარკვევი იყო, რადგანაც მთლიანად ეს თანხა ამ ქვეყანას არ უნდა გადაეხადა. ვალი გადანაწილდა იმ დროს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ყველა ხალხზე. დიდი მცდელობის შემდეგ ერთა ლიგის საარბიტრაჟო სასამართლომ დაადგინა თურქეთის წილი. რაც დაახლოებით 84.6 მლნ ლირით განისაზღვრა. 1925 წლის შემდეგ ოსმალეთის ვალთან დაკავშირებული პრობლემა ნაწილობრივ დარეგულირდა. თუმცა, არა ოქროს ლირებით. დასავლელი კრედიტორები და განსაკუთრებით საფრანგეთი, თვლიდნენ, რომ გადახდა უნდა მომხდარიყო ოქროს ლირებით. მაგრამ 1928 წელს ვალის პირობები უკვე დარეგულირდა. თუმცა ეს საკითხი არ იყო საბოლოო და დარეგულირდა 1933 წლის შეთანხმებით, რომელიც

[8] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 370-375

ითვლება თურქეთის საფინანსო დიპლომატიის წარმატებად.თურქეთმა ძველი ვალები საბოლოოდ 1944 წელს გაისტუმრა.[9]

რაც შეეხება მოსულის ველაიეთს, ინგლისელებმა დაისაკუთრეს ნავთობით მდიდარი მოსულის რაიონი, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე შედიოდა ოსმალეთის იმპერიის მოსულის ველაიეთის შემადგენლობაში, ქირქუკთან, ერბილთან და სულაიმანიასთან ერთად. 1920 წლის სევრის ხელშეკრულებით, მოსული ჩართულ იქნა დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიის - ერაყის შემადგენლობაში. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ, ათათურქის ხელმძღვანელობით არ სცნო ეს ხელშეკრულება და მოითხოვა 1918 წელს მუდროსის ზავის დადებამდე თურქეთის საზღვრებში არსებული მთელი ტერიტორიების შენარჩუნება. რადგანაც ამ ველაიეთის მოსახლეობის უმრავლესობა თურქები იყვნენ, ამის გამო ითხოვდა თურქეთი ასე დაჟინებით მოსულს. მოსულის საკითხზე 1924 წელს მოლაპარაკებები გაიმართა სტამბულში ინგლისსა და თურქეთს შორის. მაგრამ ამ მოლაპარაკებებზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა და ამიტომაც საკითხი განსახილველად „ერთა ლიგას“გადაეცა. 1925 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საბჭომ გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება საზღვართან დაკავშირებით. საზღვრად დარჩა ლოზანის კომფერენციის დროს 1924 წელს დადგენილი საზღვარი. უცხოური სახელმწიფოების ზეწოლით, 1926 წლის 5 ივნისს თურქეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ერაყთან და დიდ ბრიტანეთთან და აღიარა უკვე დადგენილი საზღვრები მცირე კორექტირებით. თურქეთს მიეცა უფლება მიეღო ერაყის მთავრობისაგან 20 წლის განმავლობაში მოსულის ნავთობის შემოსავლების 10% ან მიეღო ფულადი კონპესაცია 500 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ასევე საბერძნეთთან თურქეთის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის გაცვლის საკითხების დარეგულირებას. ეს პროცესი ძირითადად დასრულდა 1924 წელს. ამ დროიდან თურქეთიდან

[9] Martin Shaw, the new western way of war, first published in by polity press, 2005 გვ 67

გასახლებულ იქნა 200 ათასი ბერძენი, ხოლო საბერძნეთიდან 300 ათას თურქზე მეტი. ამის გარდა 1 მლნ ბერძენმა დატოვა თურქეთი, როგორც ლტოლვილმა, თურქეთის არმიის კონტრშეტევის დროს 1922 წელს. რამდენიმე წელი გაგრძელდა დავა თურქეთსა და საბერძნეთს შორის ლტოლვილების მიერ დატოვებული ქონების კომპენსაციის თაობაზე და დასრულდა 1930 წლის ოქტომბერში ამ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებით მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ.

თურქეთისათვის სსრკ-თან ურთიერთობა ძირითადად ნაკარნახევი იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობით, 1925 წლის 17 დეკემბერს პარიზში დაიდო სსრკ-თან მეგობრობისა სა ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება, რომელიც 1929.1931 და 1935 წლებში შეივსო ანკარის ოქმებით და შესაბამისად მისი გაგრძელება მოხდა 1945 წლამდე. ამ ურთიერთობებში ნაკლები როლი ენიჭებოდა ეკონომიკურ ინტერესებს. თუმცა 1933 წელს კ.ე. ვოროშილოვის ვიზიტის დროს თურქეთმა მიიღო კრედიტის სახით 8 მლნ მანეთი ოქროთი.

მომდევნო წლებში თურქეთმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან: გერმანიასთან, დიდ ბრიტანეთთან, ავსტრიასთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, იუგოსლავიასთან და სხვ .ხელშეკრულებები აგებული იყო სუვერენიტეტის ორმხრივი პატივისცემის პრინციპზე და ითვალისწინებდა სავაჭრო კავშირების განვითარებას.

1923 წლის 6 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა თურქეთ-ამერიკის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და იმეორებდა ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულების ძირითად დებულებებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ თურქულ-ამერიკულმა ხელშეკრულებამ აშშ-ის სენატში და საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თურქეთსა და აშშ-ს შორის დავის საგანი გახდა კაპიტულაციური რეჟიმის გაუქმების აღიარება აშშ ს მხრიდან. თურქეთ აშშ-ს ხელშეკრულება 1924 წლის მაისში განსახილველად წარედგინა სენატს, მაგრამ სენატში დემოკრატების ზეწოლით, მაგრამ ის 1927 წელს მისი საბოლოო რატიფიცირება მაინც ვერ მოხერხდა. თურქეთსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური

ურთიერთობების აღდგენა 1927 წელს. ამ ორ ქვეყანას შორის ოფიციალური წერილების გაცვლა მოხდა თურქეთსი აშშ-ის უმაღლეს კომისარსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის. ორი წლის შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის დადებულ იქნა თურქულ-ამერიკული ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ.[10]

1932 წლის 18 ივლისს თურქეთი გახდა ერთა ლიგის წევრი. 1934 წლის 9 თებერვალს ათენში ხელი მოეწერა თურქეთს, იუგოსლავიას, რუმინეთს და საბერძნეთს შორის პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბალკანეთზე ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობის შენარჩუნების მიზნით, ბალკანეთის პაქტს. რომელსაც წინ უსწრებდა ბალკანეთის კომფერენციები და მოლაპარაკებები ბალკანეთის სახელმწიფოების მთავრობებს შორის, საერთობალკანური კტერიტორიული კავშირი სტატუს კვოს შენარჩუნების ბაზაზე დაარსების მიზნით.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიზანი იყო შეენარჩუნებინა მეგობრული ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან. აქედან გამომდინარე ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულებები ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ საბერძნეთთან და იტალიასთან. 1928 წლის 30 მაისს იტალიასა და თურქეთს შორის რომში დაიდო ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ. თურქეთს სურდა ურთიერთობების ნორმალიზაცია იტალიასთან, რადგან თავიდან აეცილებინა იტალიის აგრესიის საფრთხე მცირე აზიასთან მიმართებაში. თურქეთსა და საბერძნეთს შორის უთანხმოებამ ხელი შეუშალა სამმაგი იტალია-საბერძნეთი-თურქეთის პაქტის დადებას. 1932 წლის მაისში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ისმეთ ინონუს ვიზიტმა რომში შედეგი არ გამოიღო.

კარგა ხანი გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების პრობლემა. ლოზანის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება ამ სრუტეებთან დაკავშირებით მიუღებელი იყო თურქეთისათვის. არც სხვა ქვეყნები იყვნენ კმაყოფილნი თურქეთის მისწრაფებით, მთლიანად თავისი გავლენის ქვეშ

[10] Woodrow Wilson Papers: Series 14: Supplement, 1880-1946; 23, Raymond B. Fosdick, 1912, Aug. 21-1923, Nov. 28

მოექცია. 1936 წლის ივნისში ქ.მონტრეში (შვეიცარია), თურქეთის წინააღმდეგ დაიწყო საერთაშორისო კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების (ბოსფორი და დარდანელი) რეჟიმის დარეგულირების თაობაზე. მასში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო შავი ზღვის პირა ქვეყნებმა, არამედ სხვა სახელმწიფოებმაც: თურქეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, საბჭოთა კავშირმა, ბულგარეთმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, რუმინეთმა, იუგოსლავიამ, ასევე იაპონიამ და ავსტრალიამ. აღნიშნულმა კონფერენციამ თითქმის ერთი თვის განმავლობაში იმუშავა. მასში მონაწილე ქვეყნებიდან იტალიამ გვიან მიიღო შეთანხმების პირობები - 1938 წლის 2 მაისს.

მონაწილე ქვეყნებს შორის ხანგრძლივი დებატების შემდეგ 1936 წლის 20 ივლისს, ხელი მოეწერა მონტრეს კონვენციას დემილიტარიზაციის თაობაზე ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების შესახებ.

ყურადღებას შევაჩერებთ იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული მონტრეს კონფერენციაზე: თურქეთმა აღადგინა სრული სუვერენიტეტი სრუტეების ზონაში - გაუქმდა სრუტეების კონტროლის საერთაშორისო კომისია და მისი ფუნქციები გადაეცა თურქეთის ხელისუფლებას. ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებმა მიიღეს სრუტეში თავისუფალი ნაოსნობის უფლება როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს - სანიტარული ზედამხედველობის საყოველთაოდ მიღებული წესების დაცვით. არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემებისათვის ნაოსნობა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში შეზღუდული იყო მათი სახეობის მიხედვით (შეეძლოთ მხოლოს მსუბუქ - კრეისერი, ნაღმოსანი და დამხმარე - გემებს), გასვლის მომენტში საერთო ტონაჟით (15 ათასი ტონა) და საერთო რაოდენობით (9 გემი), რაც შეეხება შავ ზღვას, არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს შეეძლოთ მთლიანობაში ერთდროულად ყოლოდათ გემები საერთო ტონაჟით 30 ათასი ტონა და მათი იქ ყოფნის ვადა შემოიფარგლებოდა 21 დღით. ამასთან, შავ ზღვაში არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების გემების საერთო ტონაჟი შეიძლებოდა გაზრდილიყო 45 ათას ტონამდე, თუ ყველაზე ძლიერი შავიზღვისპირა სახელმწიფო გაზრდიდა თავისი ფლოტის ტონაჟს 10 ათასი ან მეტი ტონით. ომის დროს, თუ თურქეთი თვითონ არ

მონაწილეობდა მასში, მეომარი ქვეყნების სამხედრო გემებს ეკრძალებოდათ სრუტეებში შესვლა. ხოლო თუ თურქეთი მონაწილეობდა, მაშინ თვითონ ადგენდა სრუტეების რეჟიმს.

1936 წლის 4 სექტემბერს შედგა თურქეთში ბრიტანეთის მეფის ედუარდ VIII ვიზიტი. ბრიტანეთის მხარდაჭერა თურქეთს განსაკუთრებით სჭირდებოდა იმ დროს საფრანგეთთან მოლაპარაკებისათვის. ინგლისმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც 3 წელიწადში დამოუკიდებლობა მიეცემოდათ სირიას და ლიბანს, ხოლო თურქეთი შექმნილ ვითარებაში თხოულობდა დამოუკიდებლობას ალესანდრეტას (ისკანდერუნის) სანჯაყისათვის, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდა 1921 წლის ეროვნული პაქტით. ერთა ლიგისადმი 1936 წლის 26 სექტემბრის მიმართვა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, თევფიკ რუშტუ არასის მიერ უშედეგო აღმოჩნდა, იმავე წლის 1 ნოემბერის სესიაზე განცხადება გააკეთა ათათურქმა, რასაც მოჰყვა თურქების და ფრანგების შეთანხმება. მაგრამ არაბი და სომეხი მოსახლეობის უთანხმოებამ, რომელთაც სურდათ სირიის შემადგენლობაში დარჩენა, გამოიწვია სისხლიანი ამბოხი, რამაც უფრო დააჩქარა პრობლემის გადაჭრა თურქეთის სასარგებლოდ. ათათურქის მიზანი შექმნის ვითარებაში ბრძოლით აეღო ალესანდრეტა სანჯაყი, რომელსაც უკვე ჰათაი დაარქვა. 1937 წლის 29 მაისს ერთა ლიგამ ეს სანჯაყი დამოუკიდებელ ერთეულად გამოაცხადა. 1937 წლის ნოემბერში მძიმედ დაავადებული ათათურქი გაემგზავრა ადანასა და მერსინში. სირიის ჩრდილოეთ საზღვარზე, ფრანგები კიდევ ერთ დათმობაზე წავიდნენ და გადაწყვიტეს, რომ ფრანგულ და თურქულ ჯარები სადავო ტერიტორიაზე ერთად დაამყარებინათ წესრიგი. ამ შეთანხმებისა მიუხედავად 1938 წლის 5 ივლისს თურქული სამხედრო შენაერთები შეიჭრნენ სანჯაყში, რასაც მოჰყვა არჩევნები. ამ არჩევნების შედეგად თურქებმა პარლამენტში 40 - დან 20 ადგილი მოიპოვეს. თაიფურ სოქმენი, ანკარის პარლამენტის წევრი, ჰათაის პრეზიდენტი გახდა. ათათურქი ვერ მოესწრო იმ შეთანხმების დადებას, რომლითაც ფრანგებმა სცნეს ჰათაი, როგორც „ცალკე ერთეული“ თურქეთის შემადგენლობაში, 1939 წლის 23 ივნისს. სწორედ „ჰათაი“,

რომლის მოსახლეობა დღეისთვის გახუთმაგდა და მილიონს გადასცილდა, იყო ათათურქის უკანასკნელი საჩუქარი თავისი ქვეყნისთვის.

ამ მოვლენების პარალელურად თანდათან დარეგულირდა ურთიერთობა მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებთანაც. 1926 წლის 22 აპრილს თურქეთმა ხელი მოაწერა თეირანში ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტზე ირანთან. ამ ხელშეკრულების მიუხედავად, შემდგომში ირან-თურქეთის ურთიერთობა არაერთხელ გამწვავდა სასაზღვრო კონფლიქტების გამო. 1932 წელს მოხდა ამ კონფლიქტების საბოლოო დარეგულირება და ხელშეკრულება განახლდა ახალი ვადით. 1935 წლის ივნისში თურქეთში ვიზიტით ჩავიდა ირანის შაჰის - რეზა ფაჰლავის. ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის დარეგულირებაში.

1937 წლის 8 ივლისს თეირანში, საადაბადის სასახლეში, დაიდო ე.წ. საადაბადის პაქტი, რომლითაც გაუქმდა პოლიტიკური ბლოკი თურქეთს, ირანს, ავღანეთს და ერაყს შორის. პაქტი ითვალისწინებდა საერთო საზღვრების ხელშეუხებლობას, აგრესიაზე უარის თქმას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და სხვ.

ეგვიპტეში და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში თურქეთი ღიად უჭერს მხარს სუნიტურ მუსლიმურ საძმოს და მასთან დაკავშირებულ ჯგუფებს. ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიული სახელმწიფოს ლიდერებთან ერდოღანის დაძაბულმა ურთიერთობამ შეაშფოთა როგორც თურქეთის დასავლელი მოკავშირეები, ასევე რეგიონის შიიტური სახელმწიფოები - ირანი და ერაყი. [11]

თურქეთის რესპუბლიკა „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების" დოქტრინას მისდევდა.

ამ ფონზე ჩნდება ლეგიტიმური კითხვები თურქეთის საერთაშორისო კურსის შესახებ. ერთი მხრივ, ევროკავშირის მიმართ მოსახლეობის ნეგატიური სენტიმენტები იზრდება. საპასუხოდ, თურქეთის ხელისუფლება სულ უფრო მეტად ცდილობს გაცრუებული ევროპული მისწრაფებების „ისლამური სიამაყით“ ჩანაცვლებას და

[11] გ.სანიკიძე,გ.ალასანია,ნ.გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი, თბილისი, 2011 გვ 384-447

თურქეთის ისლამური სამყაროს ცენტრად წარმოჩენას. ისლამური სახელმწიფოების ნაწილისათვის თურქეთი მისაბაძი მოდელი გახდა. არმიის მიერ ინსპირირებული აგრესიული სეკულარიზმის წყალობით, თურქეთში ერთმანეთს შეერწყა მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ისლამი და რელიგიისგან თავისუფალი, დასავლური ტიპის დემოკრატიული მმართველობა. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკური ვექტორის შეცვლა რელიგიური კავშირების გამო ნაკლებად გამართლებულია. თურქეთის გარდა ისლამური სამყაროს ცენტრად თავს ირანი და საუდის არაბეთიც მოიაზრებენ.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კვლევების ცენტრის ექსპერტის ბულენთ არაშის აზრით, მოკლე ვადაში თურქეთის პროდასავლური კურსის ხისტი შემობრუნება არ არის მოსალოდნელი, რადგან „ევროპა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ჩანასახშია". მიუხედავად ამისა, არმიის როლის მნიშვნელოვანი დაკნინება, მმართველი პარტიის ღიად ისლამური პოზიციონირება, კონსტიტუციის შეცვლის მცდელობები, „ნაწილობრივ თავისუფალი" მედია (Freedom House) და არცთუ ძლიერი ოპოზიცია რესპუბლიკის ძირითადი პრინციპების: სეკულარიზმისა და რეფორმიზმის შესახებ კითხვის ნიშნებს აჩენს. ნელ-ნელა ცხადი ხდება, რომ ევროინტეგრაცია ერთადერთ არჩევანს აღარ წარმოადგენს.[12]

ბოლო დროს თურქული დიპლომატია გააქტიურდა ლათინურ ამერიკაში, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთში. ერდოღანის გამოსვლამ ევროკავშირთან ღირებულებით ერთობასა და გეოგრაფიულ სიახლოვეზე ორიენტირებული მოსახლეობა შეაშფოთა, ხოლო პრაგმატულ, ევროპის მხრიდან მუდმივი დისტანცირებით გაღიზიანებულ ნაწილში პოზიტიური ინტერესი გამოიწვია.

ქვეყანა ქალთა უფლებების მხრივაც მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეა. თურქეთში გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლას ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ 1926 წლის სამოქალაქო კოდექსით პოლიგამია გაუქმდა და ქალებს

[12] ე.მაკარაძე, თურქეთის ისტორია (1918-2010), ბათუმი, 2019,გვ 85-90

განქორწინების, მეურვეობისა და მემკვიდრეობის თანაბარი უფლებები მიენიჭათ. 1935 წელს თურქეთის პარლამენტში უკვე 18 ქალი დეპუტატი იყო, მაშინ როდესაც შვეიცარიაში ფედერალურ დონეზე ქალთა ხმის უფლებაც კი მხოლოდ 1971 წელს დაკანონდა. საგულისხმოა, რომ 1937 წელს მსოფლიოში პირველი სამხედრო-მებრძოლი პილოტი ქალი მუსტაფა ქემალის 8 აყვანილი შვილიდან ერთ-ერთი, საბიჰა გოქჩენი გახდა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „სქესთა უთანასწორობის ანგარიშში" თურქეთი 135 ქვეყნიდან 120-ე ადგილს იკავებს.

ისტორიულად, თურქი ქალების ჩადრისგან გათავისუფლება ათათურქის რეფორმების უმთავრესი მონაპოვარი იყო, თუმცა ჩადრს დღემდე თურქი ქალების 60%-მდე იყენებს.

ერდოღანის აზრით, მთელი მათი ცხოვრება ერთი სიცრუეა. ჩვენ არასოდეს გვინახავს გულწრფელობა ევროკავშირის პოზიციებში. თურქეთის პოლიტიკა საერთაშორისო დონეზე უკანონობასთან და უსამართლობასთან ბრძოლაში გარკვეული ძალების უკმაყოფილებას იწვევს. ძლიერი თურქეთი შიშს იწვევს ანკარას მტრებში. რაც მთავარია, თურქეთი სხვა ქვეყნებისთვის მაგალითი და იმედი ხდება“, - განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.[13]

ბოლო პერიოდში ნატოს ერთ-ერთი წევრი თურქეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის მოსაზრებებს არ იზიარებს. თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი არ აპირებს რუსი დიპლომატების ქვეყნიდან გაძევებას, რასაც ამერიკა მოითხოვდა. სხვა ქვეყნების მიერ მსგავს გადადგმულ ნაბიჯებს თურქეთი მხოლოდ ბრალდების საფუძველზე დაყრდნობილ ქმედებას უწოდებს და ამბობს, რომ დადასტურებული ინფორმაცია ჯერ არ არსებობს. ორმაგი აგენტის, სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლის გამო, დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ასევე ნატო-სა და ევროკავშირის

[13] ე.მაკარაძე, თურქეთის ისტორია (1918-2010), ბათუმი, 2019, გვ 95-99

წევრი სახელმწიფოების უმეტესობამ საკუთარი ქვეყნებიდან რუსი დიპლომატები გააძევა. რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თურქეთი არ დაეთანხმა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კარგა ხნის განმავლობაში ცდილობდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო, თურქეთში უკვე კარგად ესმით, რომ ამ ქვეყანას ევროკავშირში არ მიიღებენ. ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, თურქეთისთვის აღარ არის უკვე მიზანი ევროკავშირის წევრობა. აქედან გამომდინარე, ეს პრობლემა უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია ამ ქვეყნისათვის. ევროკავშირში თურქეთის შესვლის შემთხვევაში, შეიქმნება სხვა ქვეყნებში იაფი თურქი მუშა ხელის მასიურად გადაადგილების საფრთხე და კავშირის სტრუქტურული ფონდები იძულებული იქნებიან, მისთვის კრედიტი გასცენ,ბუნებრივია რომ ევროკავშირის ნაკლებად განვითარებული ქვეყნები- საბერძნეთი , ესპანეთი, პორტუგალია და ირლანდია- არ მოინდომებს თურქეთის კავშირში გაერთიანებას და მასთან ერთან ამ ორგანიზაციების ფონდების გაყოფას.

1.3. თურქეთის როლი და ადგილი ერთა ლიგასა და გაეროში

სანამ უშუალოდ თურქეთის რესპუბლიკის როლსა და ადგილზე ვისაუბრებდეთ, მანამ მოკლედ მიმოვიხილავთ ერთა ლიგის შექმნის ისტორიას. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ მეომარ ქვეყნებს შორის გაიმართა საზავო მოლაპარაკებები, რომელმაც ოსმალეთის იმპერიის დაშლის საფუძველზე მთლიანად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. ამ სამშვიდობო მოლაპარაკებებში აღსანიშნავია აშშ-ს პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის როლი. ვილსონიანიზმი ამერიკული დიპლომატიის ერთ-ერთ თეორიას დაერქვა, რომელიც ამერიკულ იზოლაციონიზმის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა და რომლის მიხედვითაც აშშ-ს უნდა ეზრუნა მსოფლიოში იმ ღირებულებების დაცვა, რომელზეც დაფუძნებულია თავად აშშ-ს სახელმწიფო.

აშშ-ის როლი ამ თეორიის მიხედვით მსოფლიოში დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულებების დაცვა იყო. ევროპაში უკვე ფიქრობდნენ, რომ დასრულდა იზოლაციონიზმის ეპოქა აშშ-ში.

აშშ-ს პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს დიდი გეგმები ჰქონდა მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად. მან შეიმუშავა 14 პუნქტი და წინ წამოსწია „ერთა ლიგის“ შექმნის იდეა, რომელსაც თავიდან უნდა აეცილებინა ისეთი სისხლისმღვრელი ომი, როგორიც პირველი მსოფლიო ომი იყო.

პირველ რიგში, თავად აშშ არ შევიდა ერთა ლიგაში. რადგანაც კონგრესიც და სენატიც კვლავ იზოლაციონისტური იყო. ერთა ლიგას უნდა უზრუნველეყო კოლექტიური უსაფრთხოება. ის ითვლებოდა ისეთი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციის საფუძვლის ჩამყრელად, რომლის მაგალითზეც შემდგომ გაერო შეიქმნა.

„ერთა ლიგის“ შტაბ-ბინა იყო ჟენევაში, (შვეიცარია).ეს ორგანიზაცია დაარსდა 1919-1920 წლების ვერსალის ხელშეკრულებით. ლიგას არ ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული ძალები და ამიტომაც, მისი რეზოლუციების შესრულებაში ზესახელმწიფოების იმედზე რჩებოდა.

ერთა ლიგის 44 დამფუძნებელ ქვეყანათა შორის იყო თურქეთიც. აღსანიშნავია რომ, ერთა ლიგის დამფუძნებელთა შორის არ იყო ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო – აშშ და რუსეთი . ახლა მოკლედ განვიხილავთ ერთა ლიგის მთავარ მმართველ ორგანოებს, რომლებიც მდებარეობდა ჟენევაში. ესენი იყო: 1) საბჭო; 2) ასსამბლეა; 3) საერთაშორისო სასამართლო. საბჭო შედგებოდა 4 მუდმივი და 4 არჩევითი წევრისაგან. მუდმივი წევრები იყვნენ საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი და იაპონია.

საერთაშორისო სასამართლო მდებარეობდა ქალაქ ჰააგაში, რომელიც განიხილავდა ქვეყანათა შორის დავებს. ერთა ლიგის წევრი თურქეთი ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციამდე დარჩა.

ანტანტის სახელმწიფოებმა ისარგებლეს 1920 წლის საბერძნეთის წარმატებით და ოსმალეთს თავს მოახვიეს კაბალური საზავო ხელშეკრულება.

1920 წლის 10 აგვისტოს ქ. სევრში , პარიზის მახლობლად , ოსმალეთთან ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო საზავო ხელშეკრლება. სევრის ხელშეკრულების პირველი ნაწილი შეიცავდა ერთა ლიგის წესდებას. მეორე ნაწილში დადგენილი იყო თურქეთის ახალი საზღვრები: ევროპაში აღმოსავლეთი თრაკია, სტამბულისა და მიმდებარე რაიონების გამოკლებით, საბერძნეთს გადაეცა.

თურქეთი კარგავდა მთელს თავის კუნძულებს : იმროზი, ტენედოსი გადადიოდა საბერძნეთის ხელში, დოდეკანეზის კუნძულები იტალიის ხელში, კვიპროსი ინგლისს რჩებოდა.

სევრის ხელშეკრულებით თურქეთს რჩებოდა ცენტრალური ანატოლია. დედაქალაქად რჩებოდა სტამბოლი. I მსოფლიო ომის შემდეგ, დადებულ ხელშეკრულებებს შორის სევრის საზავო ხელშეკრულება იყო ყველაზე მეტად კაბალური და მტაცებლური.

1923 წლის 23 აპრილს გაიხსნა ლოზანის კონფერენციის მეორე სესია. 24 ივლისს ხელი მოაწერეს სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას.

ლოზანის ხელშეკრულებით, თურქეთმა უარი თქვა თავის უფლებებზე ერაყზე,სირიაზე,ლიბანზე,პალესტინაზე,იორდანიაზე,ეგვიპტეზე,სუდანზე,ლიბიაზე და აღიარა ინგლისის მიერ კუნძულ კვიპროსის დაპყრობა.

თურქეთმა აღიარა შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის უფლება სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის როგორც მშვიდობის, ისე ომის დროს.

ლოზანის ხელშეკრულებით, თურქეთი თვითონ განაგებდა თავის ფინანსებს,გაუქმდა დიდი სახელმწიფოების ფინანსური კონტროლი,მთლიანად გაუქმდა კაპიტულაციების რეჟიმი, თურქეთში მცხოვრები უცხოელები უნდა დამორჩილებოდნენ თურქეთის კანონმდებლობას.

ლოზანაში ხელმოწერილ იქნა აგრეთვე კონვენცია თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოსახლეობის გაცვლის შესახებ.

ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ყველა სახელმწიფოს მიერ მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ცნობა.

ლოზანის ხელშეკრულება წარმოადგენდა თურქეთის სერიოზულ გამარჯვებას.

ეხლა მოკლედ მიმოვიხილავთ თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს სევრის ხელშეკრულებიდან თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებამდე. მუსტაფა ქემალმა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევის (1920 წლის 23 აპრილი) შემდეგ მიზნად დაისახა სასულთნოს გაუქმება და რესპუბლიკური წყობილების დამყარება.

მუსტაფა ქემალი ამ ეტაპზე არ აპირებდა სასულთნოს გაუქმებას, არამედ ცდილობთა სულთნის ავტორიტეტის შელახვას, მის პოზიციების დასუსტებას, რათა მოემზადებინა ნიადაგი შემდგომში მისი დამხობისათვის.

1921 წლის 20 იანვარს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი „ძირითადი ორგანიზაციების შესახებ“.

1922 წლის 30 ოქტომბერს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე შეტანილ იქნა წინადადება სულთნის მიერ ქვეყნის ინტერესების ღალატის გამო მისთვის საერო ხელისუფლების ჩამორთმევისა და მხოლოდ სასულიერო პრეროგატივის შენარჩუნების შესახებ.

1922 წლის 1 ნოემბერს ეროვნულმა კრებამ გააუქმა სულთნის საერო ხელისუფლება და დაუტოვა მას სასულიერო ხელისუფლება (ხალიფობა).

1923 წლის 6 ოქტომბერს თურქეთის ჯარები შევიდნენ სტამბულში, დამთავრდა ქვეყნის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან. 13 ოქტომბერს ანკარა გამოცხადდა თურქეთის დედაქალაქად.

1923 წლის 29 ოქტომბერს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება თურქეთი გამოცხადებულიყო რესპუბლიკად.მუსტაფა ქემალი აირჩიეს პირველ პრეზიდენტად. რის შემდეგაც მან

მრავალი რადიკალური რეფორმა გაატარა ახალი სეკულარული რესპუბლიკის დაარსებისთვის ოსმალეთის წარსულის ნარჩენებისგან. გვარების კანონის მიხედვით, თურქეთის პარლამენტმა მუსტაფა ქემალს მიუძღვნა საპატივცემლო სახელი „ათათურქი“ („თურქების მამა“) 1934 წელს.

თურქეთისათვის ერთა ლიგის ჩარევით არაერთი საკითხის გადაჭრა მოხდა. მოსულის საკითხზე 1924 წელს მოლაპარაკებები გაიმართა სტამბულში ინგლისსა და თურქეთს შორის. მაგრამ ამ მოლაპარაკებებზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა და ამიტომაც ეს საკითხი განსახილველად „ერთა ლიგას“გადაეცა. 1925 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საბჭომ გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება საზღვრებთან დაკავშირებით. საზღვრად დარჩა ლოზანის კომფერენციის დროს 1924 წელს დადგენილი საზღვარი.

ერთა ლიგა აქტიურად ჩაერთო ჰათაი ილის სანჯაყის პრობლემის მოგვარებაში რომელიც დიდი ხნის მანძილზე სადაოდ რჩებოდა თურქეთსა და სირიას შორის. ერთა ლიგისადმი 1936 წლის 26 სექტემბრის მიმართვა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, თევფიკ რუშტუ არასის მიერ უშედეგო აღმოჩნდა, იმავე წლის 1 ნოემბერის სესიაზე განცხადება გააკეთა ათათურქმა, რასაც მოჰყვა თურქების და ფრანგების შეთანხმება. მაგრამ არაბი და სომეხი მოსახლეობის უთანხმოებამ, რომელთაც სურდათ სირიის შემადგენლობაში დარჩენა, გამოიწვია სისხლიანი ამბოხი, რამაც უფრო დააჩქარა პრობლემის გადაჭრა თურქეთის სასარგებლოდ. ათათურქის მიზანი შექმნის ვითარებაში ბრძოლით აეღო ალესანდრეტა სანჯაყი, რომელსაც უკვე ჰათაი დაარქვა. 1937 წლის 29 მაისს ერთა ლიგამ ეს სანჯაყი დამოუკიდებელ ერთეულად გამოაცხადა.

თურქეთის პრობლემების გადაწყვეტა ერთა ლიგის ჩარევით ამის შემდეგაც გრძელდებოდა. 1941 წელს ერთა ლიგის ასამბლეის გენერალური სხდომა გაიმართა. 1946 წლის აპრილში ერთა ლიგამ თვითლიკვიდაცია მოახდინა და ასპარეზი დაუთმო თავის მემკვიდრეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ერთა ლიგის უძლურებამ და ვერსალის ზავმა ახალი, მსოფლიო ისტორია ერთერთ ყველაზე სისხლისმღვრელ ომამდე მიიყვანა.

საბოლოოდ, ახალი სამეული შედგა – ბრიტანეთის, სსრკ-სა და აშშ-ს სახით. „დიდ სამეულს“ – ჩერჩილს, სტალინსა და რუზველტს უნდა გადაეწყვიტათ, თუ როგორი იქნებოდა ახალი მსოფლიო წესრიგი.

ომის დასრულებისთანავე შეიქმნა ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), რომელიც უფრო ქმედითი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი წინამორბედი ერთა ლიგა. ახალი ორგანიზაცია გაერო გახდა საერთაშორისო ფორუმი, სადაც ყველა სუვერენულ სახელმწიფოს იღებენ და ყველას შეუძლია საკუთარი სათქმელი მიიტანოს მსოფლიოსთან[14].

გაეროს უშიშროების საბჭოს ყავდა ხუთი მუდმივი წევრი: აშშ, სსრკ (დღეს რუსეთი), დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ვეტოს უფლება ქონდათ, გაერო დარჩა დღემდე ქმედით საერთაშორისო ორგანიზაციად.

თურქეთი გაეროს წევრი იმავე წელს გახდა, როდესაც შეიქმნა აღნიშნული ორგანიზაცია. საბერძნეთში კომუნისტების აჯანყების გამო წარმოქმნილი სირთულეებისა და საბჭოთა კავშირის მიერ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებში სამხედრო ბაზების მოთხოვნის შედეგად შეერთებულმა შტატებმა 1947 წელს ტრუმენის დოქტრინა გამოაცხადა. აღნიშნული დოქტრინა ხაზს უსვამდა თურქეთისა და საბერძნეთის უსაფრთხოების გარანტიის დაცვას ამერიკის მიერ, რის გამოც დიდძალი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება გაუწია ამ ორ ქვეყანას.

2016 წელს გაერომ თურქეთი ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხში გააკრიტიკა. გარდა სირიაში განხორციელებული სამხედრო ოპერაციებისა გაერო თურქეთს უკვე კარგა ხანია აკრიტიკებს ადამიანთა უფლებების დარღვევაშიც.

[14] ზ..ბატიაშვილი ცნობარი თურქეთზე“, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 23, თბ ., აპრილი, 1999. გვ 48- 59

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) უმაღლესი კომისარის ზეიდ რაად ალ-ჰუსეინის განცხადებით, ძალიან ბევრ ქვეყანაში გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დამკვირვებლებს საქმეს ურთულებენ ან და ქვეყანაში შესვლის უფლებას არ აძლევენ. მისივე განმარტებით ამ ქვეყნებს შორის არის თურქეთიც.

ალ-ჰუსეინის მტკიცებით თურქეთში თვითნებური მკვლელობების, მშვიდობიანი მოსახლეობის იძულებითი გადაადგილებების და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქურთებით დასახლებულ რეგიონებში დასახლებების დანგრევასთან დაკავშირებით გაერო-ს ანგარიშები აქვს. ანალოგიური პრობლემის შესახებ გაეროს ხაზგასმით აღუნიშნავს წინა წლებში. თურქეთი არაერთხელ დაუდანაშაულებია ადამიანთა უფლებების უხეშ დარღვევაში.[15]

2018 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თურქეთს სირიის ქალაქ აფრინში სამხედრო ოპერაციისას დასახლებულ პუნქტებთან სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდა. თურქეთის იუსტიციის მინისტრმა ბექირ ბოზდაგმა კი საპასუხოდ განმარტა, რომ სამხედრო ოპერაცია მშვიდობიან მოსახლეობას საფრთხეს არ უქმნის.

იმავე წლის 15 იანვარს, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სირიის სასაზღვრო ძალებს ტერორისტული არმია უწოდა და აღნიშნა, რომ სრულ დაკომპლექტებამდე აღნიშნულ სამხედრო ფორმირებას თურქეთი გაანეიტრალებს.

20 იანვარს, თურქეთის ავიაციამ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, აფრინის რაიონში ქურთთა პოზიციები დაბომბა. თურქეთის ავიაციამ 108 სამიზნე ობიექტზე მიიტანა იერიში, მათ შორის იმ აეროდრომზე, რომლითაც აშშ ქურთებს იარაღით ამარაგებდა.

---

[15] გაერომ თურქეთი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში გააკრიტიკა, 2016 წელი http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/24489-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)

21 იანვარს თურქეთმა სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, აფრინის რაიონში ტანკები შეიყვანა, სადაც ქურთების პოზიციები იყო განლაგებული. თურქეთთან ერთად, ოპერაციაში სირიის თავისუფლების არმიის მებრძოლების მონაწილეობდნენ. ოფიციალურმა დამასკომ მკაცრად დაგმო თურქეთის მიერ აფრინზე მიტანილი იერიში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარმა განმარტა, რომ ამბოხებულების მიერ კონტროლირებად რეგიონებში ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და იმათზე მეტი დაშავდა, რაშიც ბრალი თურქებს დასდეს.[16]

2018 წელს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა სტამბოლში გაეროს ბანკის („საერთაშორისო ტექნიკური ბანკი“) გახსნის შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ეგიდით თურქეთში ბანკის გახსნის შეთანხმებას 2017 წლის 22 სექტემბერს თურქეთსა და გაეროს შორის ნიუ-იორკში მოეწერა ხელი. ბანკი სტამბოლში განთავსდა და მისი შექმნისთვის თურქეთმა $2 მილიონი გამოყო.

ეს „საერთაშორისო ტექნიკური ბანკი“ დაბალგანვითარებულ ქვეყნებში ტექნოლოგიური დარგების განვითარებას შეუწყობს ხელს.[17]

სირიაში ვითარების გართულების გამო გასულ წელს გაერო-ს გენერალურმა მდივანმა რუსეთს და თურქეთს სირიის იდლიბის პროვინციაში ვითარების სტაბილიზაციისაკენ მოუწოდა.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა იდლიბში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და აღნიშნა, რომ არსებულ

---

[16] გაერო თურქეთს აფრინში დასახლებულ პუნქტებტან სიფრთხილისკენ მოუწოდებს, 2018 წელი https://imedinews.ge/ge/msoflio/48222/gaero-turqets-aprinshi-dasakhlebul-punqtebtan-siprtkhilisken-moutsodebs (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)

[17] თურქეთში გაეროს ბანკი გაიხსნება, 2018 წელი https://m2b.ge/post/237848-turqetsi-gaeros-banki-gaixsneba (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)

სიტუაციაში მშვიდობიანი მოსახლეობა ყველაზე დიდ საფასურს იხდის. მან აღნიშნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის დროსაც კი აუცილებელია საერთაშორისო სამართლის სრული დაცვის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული უფლებების მიმართულებით.[18]

თავი I I

თურქეთი ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში

2.1. თურქეთი - ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ქვეყანა

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს-1945 წელს ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ამ კონტინენტისა და მასზე მცხოვრები ადამიანების ბედი.

მეორე მსოფლიო ომის დროს სამი მოკავშირის (აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს) გამარჯვებამ შექმნა ისეთი პოლიტიკური ვითარება, რომ ევროპის კონტინენტზე ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება უკვე რეალურ შესაძლებლობად იქცა. თუმცა, ეს ილუზია აღმოჩნდა. იმ პერიოდისათვის რეალისტურად იქნა შეფასებული საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკიდან გამომდინარე მომავალი საფრთხეების არსებობა, იმ ფონზე, როცა გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება არანაკლებ

[18] გაეროს გენერალური მდივანი რუსეთს და თურქეთს სირიის იდლიბის პროვინციაში ვითარების სტაბილიზაციისკენ მოუწოდებს. 2019 წელი.https://1tv.ge/news/gaero-s-generaluri-mdivani-rusets-da-turqets-siriis-idlibis-provinciashi-vitarebis-stabilizaciisken-mouwodebs/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)

საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა, იმ დროისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეასრულეს ომის შემდგომ ნაკისრი ვალდებულებები,

სამხედრო ძალების შემცირებასა და სამხედრო მოსამსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირი კი არც ჩქარობდა ამ ვალდებულებების შესრულებას. ის ევროპის კონტინენტზე სამხედრო ძალების სრულ შემადგენლობას ინარჩუნებდა.

საბჭოთა კავშირის მმართველს - სტალინს სურდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება და მისი გავლენის სფეროს გაფართოება ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში.

1948 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ხუთმა სახელმწიფომ – ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს „ბრიუსელის პაქტს“. რომელიც მიზნად ისახავდა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას, რომელიც წინ უნდა აღსდგომოდა საბჭოთა კავშირის მზარდ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას. „ბრიუსელის პაქტი“ დასავლეთ ევროპის საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნის წინაპირობად იქცა და სწორედ ის გახდა ნატო-ს დაარსების საფუძველი. 1949 წლის 4 აპრილს, ვაშინგტონის ხელშეკრულების (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება) ხელმოწერით შეიქმნა უსაფრთხოების ერთიანი სისტემა, რომელიც ალიანსში შემავალი თორმეტივე წევრი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობასა და საერთო ფასეულობებს დაეფუძნა. ჩრდილო ამერიკის ჩართვა დასავლეთ ევროპის დასაცავად მოწმობდა იმას, რომ დასავლეთ ევროპაზე პოლიტიკური თუ სამხედრო ზეწოლის ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელი იქნებოდა. ნატოს თავდაცვის ქოლგის ქვეშ დასავლეთ ევროპამ და ჩრდილო ამერიკამ მალე მიაღწია სტაბილურობის მაღალ დონეს და ევროპის ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარებისათვის მყარი საფუძველი შექმნა. წევრ სახელმწიფოზე განიხილება თავდასხმად მთლიანად ალიანსზე.[19]

ჩვენი თემის მიზანია მიმოვიხილოთ ნატოსა და მისი ერთ–ერთი ყველაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წევრის, თურქეთის, ურთიერთობები 1952 წლიდან დღემდე, ანუ იქედან, როდესაც თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა გახდა, დღემდე.

ნატო 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა და ამ ორგანიზაციის დამფუძნებელთა მიზანს წარმოადგენდა ბრძოლა წითელ საფრთხესთან, ანუ კომინისტურ სამყაროსთან. ნატოს რეალობაში უნდა განეხორციელებინა გაეროს წესდებით გარანტირებული უფლება, ქვეყანათა მიერ ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის შესახებ. „რკინის ფარდის“ ორივე მხარე გეგმავდა სტრატეგიას და არჩევდა მოკავშირეებს. ნატოს მესვეურებმა საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრხეს განარიდეს თურქეთი და საბერძნეთი, რის შედეგადაც პირველი გაფართოებისას, 1952 წლის 18 თებერვალს, ალიანსში მიიღეს.

ნატოსთვის თურქეთი, როგორც სტრატეგიული მოკავშრე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ეს ქვეყანა ევროპა-აზიის მაკავშირებელია. და ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ იგი ესაზღვრებოდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, იყო იმის საშიშროება, რომ ნატოს დიდ საფრთხეს უქადდა თურქეთის მოქცევა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ. თურქეთმა მიიღო მარშალის გეგმით გათვალისწინებული ინვესტიციები და მისი მოკავშირედ ქცევის შემდგომი საფეხური, ალიანსში მიღებაც, წარმატებით განხორციელდა. [20]

საინტერესოა, ასე საკითხის დასმა - ამ ნაჩქარევი მოკავშირეობით რა ზიანი ან სარგებელი შეიძლებოდა მისდგომოდა ალიანსს, რომელმაც ფაქტია, რომ თურქეთი მხოლოდ იმიტომ მიიღო წევრად, რათა ამ ქვეყნის რესურსები მოწინააღმდეგეს - საბჭოთა კავშირს - არ ჩავარდნოდა ხელში. აღსანიშნავია, რომ თურქეთი არის

[19] გ.სანიკიძე,გ.ალასანია,ნ.გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია.თბილისი,2011 გვ 360-369

[20] The North Atlantic Treaty Organization (NATO): A Strategic and Operational Overview. George C. Marshall European College of International and Security Studies. 2007 გვ 13-20

ერთადერთი ქვეყანა ნატოში აზიური საწყისებით, დასავლურ ევროპული კულტურისაგან განსხვავებული ტრადიციებითა და კანონმდებლობით. როგორც უკვე ავღნიშნეთ ნატოში მისსმა წევრობამ გაამართლა ის რისკი რაც გასწია ნატომ ცივი ომის ეპოქაში, მაგრამ ამასთანავე საკამათო გახდა ამ კავშირის სიმყარე მაშინ, როცა აღარ არსებობს „რკინის ფარდა“.[21]

თურქეთი გაწევრიანებიდან „ნატოში“ ასრულებს მთავარ როლს ამ ორგანიზაციის უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ევროსტრუქტურებისკენ გზის გაკვლევის საქმეში. თურქეთი ყოველთვის ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, თუ არ ჩავთვლით ბოლო დროინდელ განვითარებულ მოვლენებს. თურქეთი ძველებურად აღარ ასრულებს ნატოს მითითებებს. ნატოს განვითარებასთან ერთად, განვითარდნენ მისი მოკავშირეებიც და მოერგნენ შეცვლილ გარემოს. ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ საწვრთნელი ბაზების შექმნასა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო პირების ტრეინინგებში, ასევე ეხმარება ნატოს მისიებში და პირობას დებს, რომ განაგრძობს ამავე გზით სვლას.

თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ყველა იმ სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოაწყვეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. ეხლა ვისაუბრებთ ამ ოპერაციების შესახებ: 1956 წლის ივლისში, თურქეთმა გაილაშქრა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ომს ეგვიპტის წინააღმდეგ. 1958 წელს, თურქეთმა მხარი დაუჭირა ინგლის-ამერიკის ინტერვენციას ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ.

1959 წლის მარტში, თურქეთსა და აშშ-ს შორის დაიდო ორმხრივი სამხედრო შეთანხმება, რომლის მიზანი იყო გადაექცია თურქეთი მთავარ რაკეტულ-ატომურ ბაზად, საბჭოთა კავშირის საზღვრებთან. ამერიკელებმა თურქეთში ააგეს რამდენიმე სარაკეტო ბაზა ატომურ-წყალბადის მუხტით აღჭურვილ ზემძლავრ ბომბდამშენ

[21] Charles W. Kegley, Eugene R. Wittkopf. World Politics. New York. 2002 გვ 8-21

ბაზებთან ერთად. ამ ბაზებზე მათ განალაგეს საშუალო რადიუსის მქონე „ტორისა“ და „იუპიტერის“ ტიპის ბალისტიკური რაკეტები.[22]

თურქეთი ალიანსის ერთ–ერთი ყველაზე აქტიური წევრია, თუმცა მისიებში მონაწილეობასთან ერთად ყველაზე ხშირად ის საჭიროებს სამხედრო დახმარებას. თურქეთში სამხედრო-სტრატეგიული ბაზების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა თურქეთის არმიის ხელახალი შეიარაღება და მისი აღჭურვა ამერიკული იარაღით.

1959 წლისთვის, ძირითადად დამთავრდა თურქეთის არმიის აღჭურვა უახლესი სამხედრო ტექნიკით, „ნატო“-ს წევრ ქვეყნებს შორის, თურქეთს გაცილებით მეტი შეიარაღებული ჯარისკაცი ჰყავს, ვიდრე ევროპის სხვა სახელმწიფოებს.

იმ პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა კვიპროსის საკითხიც.

მოკლედ განვიხილავთ კვიპროსის პრობლემას. 1960 წლის 16 აგვისტოს, კვიპროსმა მიიღო დამოუკიდებლობა და რესპუბლიკად გამოცხადდა. მაგრამ კუნძულზე მცხოვრები ბერძენი ოფიცრები, რომლებიც მხარს უჭერდნენ საბერძნეთთან შეერთებას, მათ 1964 წლის 15 ივნისს მოაწყვეს მთავრობის საწინააწმდეგო აჯანყება და პრეზიდენტი მაკარიოსი გადააყენეს. ეს სახელმწიფო გადატრიალება მოწყობილი იყო საბერძნეთის მმართველის ხუნტის დახმარებით. ამის შემდეგ მოხდა თურქების დევნა და შევიწროება კვიპროსზე, მათ თავი შეაფარეს ჩრდილოეთში გამაგრებულ ანკლავებს.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად თურქეთში დაიწყო სამხედრო სამზადისი. 1964 წლის 22 ივლისს, თურქეთის მთავრობამ, თურქული მოსახლეობის დაცვის მიზნით, ჯარის ნაწილები გადასხა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში. თურქებმა მოახდინეს კვიპროსის ტერიტორიის 40 % ოკუპაცია. ამის შემდეგ დაიწყო ბერძენი ხალხის გასახლება ოკუპირებული ტერიტორიიდან. 200 ათასზე მეტი ბერძენი გადასახლდა სამხრეთში, ხოლო დაახლოებით-40 ათასი თურქი ჩრდილოეთში.

[22] მ. სვანიძე თურქეთის ისტორია 2007 გვ. 390-394

1975 წლის 13 თებერვალს, კვიპროსის თურქეთის თემის ხელმძღვანელობამ, თურქეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე შექმნა განცალკევებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი- „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა“

ნატოს მხრიდან მის ორ წევრ ქვეყანას- თურქეთსა და საბერძნეთს შორის აღნიშნული დაძაბულობისდა მიუხედავად, რაიმე რეაგირება არ ყოფილა. ნატო, თურქეთ-საბერძნეთის ამ კონფრონტაციაში არ ჩარეულა.

იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, თურქეთს ყველაზე დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავს ნატოში, გასაკვირი არაა, რომ ეს ქვეყანა აქტიურადაა ჩართული ალიანსის მისიებში. იგი მონაწილეობდა ნატოს ოპერაციებში კოსოვოში, სადაც ორგანიზაცია დღემდე ტოვებს თავის სამხედროებს. თურქეთი ჩართული იყო ნატოს ერაყის მისიაში 2004-2011 წლებში, ასევე გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად ლიბიის კონფლიქტის დროსაც, 2011 წელს. აუცილებლად აღსანიშნავია ISAF–ის მისია ავღანეთში, სადაც დიდი როლი ენიჭება როგორც ნატოს წევრი სახელმწიფოების, ისე პარტნიორების მონაწილეობას. ავღანეთი დაყოფილია ალიანსის წევრი ქვეყნების კონტროლირებად სექტორებად. საფრანგეთთან ერთად, თურქეთი მეთვალყურეობას უწევს ავღანეთის მთელ ტერიტორიას ქაბულის ჩათვლით.[23]

თურქეთი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ნატოს მისიებში, იბრძვის ISIS–ის წიანააღმდეგ და ის აზიაში ნატოს პლაცდარმია ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში. ასევე შეუცვლელია მისი როლი ხმელთაშუა ზღვის პატრულირებისას მიგრანტების ნაკადების კონტროლსა და, ხშირ შემთხვევაში, გადარჩენაში[24].

თურქეთი ალიანსის ერთ–ერთი ყველაზე აქტიური წევრია, მაგრამ მისიებში მონაწილეობასთან ერთად ისიც საჭიროებს სამხედრო დახმარებებს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90–იან წლებში, სპარსეთის ყურის კრიზისის დროს, თურქეთმა ითხოვა ირანიდან მომდინარე საფრთხისაგან დაცვა, გარდა ამისა 2003 წელს

[23] ნ. ჩიტაძე: ნატო- ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბილისი 2008, 24-30 გვ.
[24] Ronald D. Asmus: Reinventing NATO (Yet Again) Politically, NATO Rewiev, Spring 2005, P-26-27.

მხარდაჭერა ერაყ-აშშ-ს ომის დროს უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. 2012 წელს სირიის სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას, თურქული მზვერავის ჩამოგდებისა და 5 სამოქალქო პირის მკვლელობის შემდგომ, 2013 წლის ბოლომდე, ნატომ განათავსა საავიაციო სამხედრო ბაზა თურქეთის სამ პროვინციაში : გერმანიამ–კაჰრამანმარაში, ნიდერლანდებმა –ადანაში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი – გაზიანთებში. და ბოლოს, ქვეყანამ ნატოსგან დახმარება 2014 წელს მიიღო, სირიის მხრიდან განხორციელებული მცირემასშტაბიანი შემოტევის პერიოდში.

სამხედრო მისიების გარდა ნატო ეხმარება თურქეთს სტიქიური უბედურებების, მათ შორის, უკანასკნელ პერიოდში მომხდარი მიწისძვრის დროს.

2.2. პრობლემები თურქეთ-ნატოს ურთიერთობებში ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კრიზისის ფონზე

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე გარკვეული პრობლემები გაჩნდა ნატოსა და თურქეთის ურთიერთობებში, რომელიც მეტნაკლებად დღემდე არსებობს. კონკრეტულად კი დაძაბულობა ნატოსა და თურქეთს შორის დაიწყო 2015 წლის ნოემბერში რუსული მზვერავის ჩამოგდებით სირია–თურქეთის საზღვართან,ამას მოჰყვა თურქეთ-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის დაძაბვა, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა ნატო–რუსეთის ისედაც გართულებულ ურთიერთობებზე.

მოკლედ ვისაუბრებთ 2015 წლის ნოემბერში მომხდარი ინციდენტის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია რუსეთთან და თურქეთთან. თურქეთის მიერ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის (სუ-24) ჩამოგდების პარალელურად, იყო მოლოდინი ურთიერთობების გამწვავებაზე მოსკოვსა და ანკარას შორის, ასევე შესაძლოა

დაძაბულიყო ურთიერთობა რუსეთსა და ნატოს შორისაც, რადგანაც თურქეთი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი ქვეყანაა. იმავე წლის 24 ნოემბერს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საგანგებო სხდომის შემდეგ, მხარეებს დიალოგისა და სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდა.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ზოგიერთი ექსპერტის აზრით, იყო მოსაზრებაც რომ რუსეთი დაიწყებდა ომს ნატოს წევრ ქვეყანა - თურქეთთან, რეალურად მაშინ თვით ალიანსიც არ იყო დაინტერესბული რუსეთის გაღიზიანებით. „ნატომ“ აღიქვა რუსეთ-თურქეთ შორის დაძაბული სიტუაცია არა „ნატო-რუსეთის“ პრობლემად, არამედ-„ნატოს“ ერთ-ერთ წევრ ქვეყანა თურქეთსა და რუსეთს შორის მომხდარ უთანხმოებად და აქედან გამომდინარე, მოუწოდა თურქეთს, თვითონ მოეგვარებინა პრობლემა რუსეთთან.

რეალურად მართლაც ეს პრობლემა თურქეთმა და რუსეთმა თვითონ მოაგვარეს.

ზემოთხსენებულ ინციდენტს, ასევე მიემატა 2016 წლის 15 ივლისს ერდოღანის რეჟიმის მოწინააღმდეგეების მიერ გადატრიალების მცდელობა, რომელიც მარცხით დასრულდა. ამბოხების მიზეზებად აცხადებდნენ ერდოღანის მიერ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევას, დემოკრატიული კანონების გაუქმებასა და თურქეთის რეპუტაციის შელახვას საერთაშორისო ასპარეზზე, ამ ამბოხებით გამოწვეულმა შედეგებმა სერიოზული გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

ამ ამბის შემდეგ ნატოში ფიქრობდნენ, ნატო-თურქეთის ურთიერთობის გადახედვაზე. დღემდე ამ ქვეყნის სტატუსი ალიანსში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ნატომ ბერჯერ დააფიქსირა თავისი პოზიცია თურქეთთან მიმართებაში, ასევე გააკეთა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც. ჯონ კერი აცხადებდა, რომ გადატრიალების შედეგები შესაძლოა თურქეთს ნატოს წევრობად დაუჯდეს, რადგანაც ნატოს ერთ - ერთი მოთხოვნა სწორედ დემოკრატიული ინსტიტუტების პატვისცემაა ქვეყანაში.

2016 წლის 8 სექტემბერს, გადატრიალების მცდელობის შემდეგ, პირველი ვიზიტის დროს, ნატოს გენერალურმა მდივანმა იანს სტოლტენბერგმა დაადასტურა, თურქეთის კვლავ ნატოს სტრატეგიული პარტნიორობა, თურქეთი კვლავ ალიანსის დასაყრდენას დარჩა შუა აღმოსავლეთში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის არმია ერთ–ერთი ყველაზე ძლიერია ნატოს წევრ ქვეყნებს შორის. და ამასთანავე თურქეთის სამხრეთით განლაგებული ინჯირლიყის ბაზა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია ISIS–თან ბრძოლაში ნატოსათვის. აქედან გამომდინარე ფაქტია რომ ნატოს თურქეთი სჭირდება და ასევეა პირიქითაც-თურქეთსაც ჭირდება ნატო.

15 ივლისის გადატრიალების მცდელობამ დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ თურქეთზე, არამედ ზოგადად ნატოზეც. ალიანსის რამდენიმე დადასტურება, რომ თურქეთი რჩება მის პარტნიორად ყველაზე მეტად მიუთითებდა იმაზე, რომ განიხილებოდა ქვეყნის მიერ ალიანსის დატოვების საკითხიც. ბოლო პერიოდში თურქეთს ასევე გაურთულდა ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. თურქეთი ბრალს დებს აშშ-ს ფეთჰულა გიულენისათვის მფარველობის გაწევაში, რომელიც კარგა ხანია აშშ-ში ცხოვრობს. ფეთჰულა გიულენი ითვლება 2016 წლის ივლისის თურქეთის სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორად, ყოველშემთხვევაში ასე თვლის თურქეთის ხელისუფლება. თურქეთი, ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში თავის მხრივ, აწარმოებს ომს ქურთებთან, რაც კიდევ ერთ პრობლემას ქმნის ნატო-თურქეთის ურთიერთობაში.

აღსანიშნავია რომ, თურქეთი უკმაყოფილოა ნატოს პოზიციით გადატრიალების შემდგომ. სავარაუდოდ თურქეთის ხელისუფლება მოელოდა, რომ ნატო მას მხარს დაუჭერდა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდ ოღლუმ განაცხადა, რომ თურქი ერი აღარ ენდობა ნატოს. თურქეთში ფიქრობდნენ რომ, ნატომ და აშშ -მ იცოდნენ რა ხდებოდა ქვეყანაში და რა საფრთხის წინაშე იდგა თურქეთი. თურქეთის ხელისუფლება ალიანსისგან მოითხოვდა ქმედითი ნაბიჯების გატარებას,

რათა აღდგენილიყო უწინდელი ურთიერთობა მათ შორის. რადგანაც ნატომ შორს დაიჭირა თავი თურქეთში განვითარებული მოვლენებისაგან, ქვეყანაში ეს აღიქვეს, როგორც მხარდაჭერის გამოუცხადებლობა. თურქეთში ანტიდასავლური მედიისაგან გაისმოდა ნატოს საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, მათ შორის მოხდა შემდეგნაირი ფორმულირება, რომ ნატო ისლამის მტერია.[25]

2016 წლის 8 ივლისს რეჯეფ თაიბ ერდოღანმა გააკეთა განცხადება სადაც ბოდიში მოიხადა, რუსული მზვერავის ჩამოგდებაზე და რუსეთ–თურქეთის ურთიერთობების აღდგენას მიემხრო. გადატრიალების მცდელობის შემდგომ აშკარაა თურქეთის აზიისკენ შებრუნება. ამის დასტურია ის რომ, ირანმა, თურქეთმა და რუსეთმა, ნატოსა და აშშ–ს გარეშე, გააფორმეს შეთანხმება სირიაში მშვიდობის დასამყარებლად, თუმცა თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობამ ურთიერთობები ისევ დაძაბა. ეს ფაქტი შეფასდა როგორც პროვოკაცია, რუსეთისა და თურქეთის როგორღაც მოგვარებული ურთერთობების გაუარესების მიზნით და იმედს იტოვებდნენ, რომ მიზანი მიღწეული ვერ იქნებოდა.

თუკი საწყის ეტაპზე, ნატოსთვის თურქეთი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად და აქედან გამომდინარე ამ ქვეყნის ინტერესებშიც შედიოდა ნატოს წევრობა, ცივი ომის დასრულების შემდგომ, თურქეთი ისევე, როგორც ალიანსის სხვა წევრები გადაერთნენ შედარებით უფრო პოლიტიკურ საქმიანობაზე. თურქეთი აქტიურად ჩაერთო ნატოს მისიებში, უკანასკნელ პერიოდში კი, სირიის სამოქალაქო ომისა და ისლამური სახელმწიფოს გაძლიერების ფონზე, გეოგრაფიული მდებარეობისა და ტერორიზმთან ბრძოლის დიდი გამოცდილების გამო, თურქეთი ისევ შეუცვლელი სტრატეგიული პარტნიორი გახდა, თუმცა პოლიტიკურმა პროცესებმა, თურქეთ-რუსეთის და ამერიკა -თურქეთის ურთიერთობებმა, ასევე გადატრიალების

[25] თურქეთის სტატუსი ნატოში 2003. http://www.eu-nato.gov.ge/ge/nato/about (უკანასკნელად გადამოწმებულია-26.03.2020)

მცდელობამ ქვეყანაში და ნატოს მიმართ განწყობის შეცვლამ დასვა საკითხი თურქეთის ნატოდან გარიცხვის შესახებ. ამ მოვლენებს დაემატა თურქეთის ომი ქურთ სეპარატისტებთან და რუსეთის ელჩის მკვლეობა ანკარაში.

ამ პრობლემების და მიუხედავად, იანს სტოლტენბერგმა გარკვევით განმარტა, რომ თურქეთი ნატოს სჭირდება.

2012 წლის 26 ივნისს - მას შემდეგ, რაც სირიამ თურქეთის რეაქტიული თვითმფრინავი ჩამოაგდო - თურქეთმა, ნატოს დამფუძნებელი შეთანხმების მეოთხე მუხლის თანახმად, კონსულტაციის გამართვისკენ მოუწოდა ალიანსის შტაბბინას. შეხვედრამდე ანკარამ განაცხადა, რომ ნატოსგან მოითხოვს ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედებას, რომლის თანახმადაც, ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმად ფასდება. [26]

ბოლო დროს თურქეთმა მიუხედავად იმისა, რომ ის ნატოს წევრი ქვეყანაა, რუსეთისგან შეიძინა სარაკეტო-საზენიტო დანადგარები SS400. აქედან გამომდინარე, გაჩნდა კითხვები : რა ხდება თურქეთსა და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოკავშირე ნატოს შორის? რამდენად მყარი შეიძლება იყოს მათი ურთიერთობა და ამასთანავე თანამშრომლობა სამომავლოდ.[27]

ნატოსა და თურქეთსის ურთიერთობებში ბოლო პერიოდში გარკვეულმა ცვლილებებმა იჩენა თავი. ამის გამოხატულებაა 2018 წლის ერდოღანის მიერ ნატოს გაკრიტიკება. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ნატო გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ალიანსმა თურქეთი მარტო დატოვა და მხარი არ დაუჭირა. აღნიშნა რომ თურქეთთან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში ორმაგი სტანდარტით მოქმედებს. პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას ასევე დასძინა, რომ თურქეთი 2016 წლის 15 ივლისს ტერ ორგანიზაცია FETÖ-ს მიერ განხორციელებული

[26] ნატო-თურქეთი-სირია 2009. https://www.radiotavisupleba.ge/a/nato-turkey-syria (უკანასკნელად გადამოწმებულია-26.03.2020)

[27] ISAF-ის მისია და თურქეთის როლი ავღანეთის სახელმწიფოს აღდგენაში, 2005. www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/the-isaf-mission-and-turkeys-role-in-rebuilding-the-afghan-state (უკანასკნელად გადამოწმებულია- 26.03.2020).

გადატრიალების მცდელობის შემდეგ სირიის ჩრდილოეთში შექმნის მცდელობაში მყოფ ტერორისტული კორიდორის წინაღმდეგ იბრძვის. „გადატრიალებით მცდელობის აღკვეთის შემდეგ ახლა სხვა საფრთხე დაგვატეხეს თავზე, ტერორისტული კორიდორის შექმნის მსურველების ნამდვილი მიზანი ნათელი გახდა. ჩვენ კი ჯერ „ევფრატის ფარი“-ს და ახლა „ზეთისხილის რტო“-ს სახელწოდების ოპერაციები განვახორციელეთ, რომელსაც არავინ ელოდა. რეგიონში განხორციელებულმა პოლიტიკამ ჩვენ გვაიძულა ნატოსთან თანამშრომლობის საკითხები კიდევ ერთხელ გადაგვეხედა. აი ესაა ნატო, რომლის წევრიც ჩვენს ვართ. ნატომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთი მარტოდ მიატოვა. აქვე დავსძენთ რომ სულ ცოტა ხნის უკან ნატოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების მოგვარების კუთხით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ორივე მხრიდან.

2.3. თურქეთი და ევროკავშირი-პრობლემები და გამოწვევები

სანამ უშუალოდ თურქეთისა და ევროკავშირის საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, მანამდე მოკლედ მიმოვიხილავთ ევროკავშირის შექმნის მოკლე ისტორიას, რითაც უფრო ნათელი გახდება ის მიზანი, თუ რატომ ისწრაფვოდა თურქეთი ამ ორგანოზაციის წევრობისაკენ. ევროპის გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

პირველი ინტეგრირებული ორგანო -ევროპის საბჭო დაარსდა ლონდონში 1949 წელს. მაგრამ იმ დროს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა დაეთმო სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ევროპული პოლიტიკური კავშირის შესაქმნელად. ამიტომაც იყო, რომ ევროპელებმა მაშინ თავი შეიკავეს პოლიტიკური კავშირისაგან და გადაწყვიტეს მისი განხორციელება ეკონომიკური ინტეგრაციით დაეწყოთ.

ევროპის თანამეგობრობის სრულყოფის ხანგრძლივი პროცესი დასრულდა 1992 წლის მარტში, ევროპის კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერით, რომელის საბოლოოდ ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, მაშინ როდესაც კავშირმა იურიდიული სტატუსი მიიღო. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დათმეს თავისი სუვერენული უფლებების ნაწილი.

ევროკავშირის ორგანოებია: ევროსაბჭო, მინისტრთა საბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი და სასამართლო. ევროპული საბჭო- კავშირის უმაღლესი ორგანოა, მას ევალება სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პერიოდული შეხვედრების ორგანიზება. სადაც ხდება კავშირში შემავალი ევროპული ქვეყნების პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შეთანხმება. მინისტრთა საბჭოში ხდება მინისტრების ყოველთვიური შეხვედრა სხვადასხვა საკითხებზე.

აღსანიშნავია რომ თურქეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც 1959 წელს ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებაზე პირველი განაცხადი გააკეთა. 1963 წლის 12 სექტემბერს თურქეთმა და ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა ხელი მოაწერეს ასოციაციის შექმნას, რომელიც ძალაში შევიდა 1964 წლის 1 დეკემბერს.

1987 წლის 14 აპრილს თურქეთის პრემიერ მინისტრმა თურგუთ ოზალმა განცხადება შეიტანა თურქეთის ევროკავშირში სრულუფლებიან წევრად მიღების შესახებ.

თურქეთი რომ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო, უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები: უნდა გააუმჯობესებულიყო ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა და ქვეყნის დემოკრატიზაცია. რისთვისაც უნდა გადაეხედა თავისი კანონმდებლობისათვის, რომელიც ამ მხრივ სერიოზული პრობლემებით გამოირჩეოდა. რადგანაც ის არ შეესაბამებოდა საერთო ევროპული კანონმდებლობების ნორმებს, ქვეყანაში უნდა დამყარებულიყო შიდა სტაბილობა, ქვეყანაში უნდა აღმოფხვრილიყო ტერორიზმი, ქურთების პრობლემა უნდა

მოეგვარებინა მოლაპარაკების გზით, უნდა მიეღწია ეკონომიკურ სტაბილიზაციას და სხვა.[28]

თურქეთის ევროკავშირში მიუღებლობა გარკვეულ წილად უკავშირდება ქურთების საკითხის მოუგვარებლობას ამ ქვეყანაში, რაც ხშირად იჩენს ხოლმე თავს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი ერთადერთი მუსლიმური ქვეყანაა, რომელსაც ევროკავშირში შესვლა სურს. ამიტომაც არის რომ, თურქეთის გაერთიანებას ევროკავშირში ბევრი მოწინააღმდეგე ყავს.

ამის დადასტურებაა ის ფაქტი რომ 1997 წლის მარტში, ბრიუსელში ევროკავშირის კონფერენციაზე ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ „თურქეთის ადგილი ევროპაში არ არის, რადგან იგი არ ფლობს ევროპისათვის დამახასიათებელ კულტურულ და ჰუმანურ ღირებულებებს“.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც უშლის ხელს: დღესდღეობით თურქეთის მოსახლეობა 75 მილიონს აღემატება, ანუ ამ მაჩვენებლით ის ევროპის ქვეყნების მოსახლეობის მხრივ პირველ ადგილზეა. თურქეთი მოსახლეობის სწრაფი გზით გამოირჩევა. ამიტომაცაა რომ თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, ის უახლოეს მომავალში გახდება ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა ევროკავშირის ქვეყნებს შორის და ამიტომაც მიიღებს ევროკავშირში ყველაზე დიდ კვოტასაც (ათს), ზუსტად იმდენს, რამდენიც გააჩნიათ დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას, ანუ თურქეთი ეფექტურად შეძლებს გავლენა იქონიოს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე.

1999 წლის ოქტომბერში ჰელსინკის ევროკავშირის სამიტის გადაწყვეტილებით თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ოფიციალურად კანდიდატ ქვეყანად დასახელდა.

თურქეთის ევროკავშირში შესვლის საკითხი, რომელიც მრავალწლიანი დებატების საგანია, წარმოადგენს უფრო ფართო პრობლემის - თურქული საზოგადოების ევროპიზაციისა და ვესტერნიზაციის ნაწილს. თუ გადავხედავთ

[28] ე. მაკარაძე, თურქეთის ისტორია (1918-2010) ბათუმი 2019, გვ 170-175

თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობას ბოლო 10 წლის განმავლობაში , შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი , რომელიც განაპირობებს ამ პროოცესის შეფერხებას. ესენია: პირველ რიგში,ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ევროკავშირის წევრობის ეკონომიკურ კრიტერიუმებში იგულისხმება საბაზრო ეკონომიკის მყარი და ეფექტური ფუნქციონირება, საბანკო სექტორის გამართულობა, ვალუტის სიმყარე, უმუშევრობის დაბალი დონე და სხვა.

1987 წლის 14 აპრილს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე თურქეთის მიერ განაცხადის შეტანის შემდეგ ევროკავშირის კომისიამ ანგარიში წარადგინა ამ საკითხთან დაკავშირებით. მასში მითითებული იყო , რომ ქვეყნის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ვერ დაარწმუნა კომისია, იმაში, რომ თურქეთი გადალახავდა ეკონომიკური პრიცესების სირთულეებს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისას.

1989 წლის 18 დეკემბერს ევროპული გაერთიანების კომისიამ გამოაქვეყნა ორი დოკუმენტი: „კომისიის მოსაზრება თურქეთის გაერთიანებაში შესვლასთან დაკავშირებით“ და მასთან დანართის სახით მოხსენება „თურქეთის ეკონომიკა:სტრუქტურა და განვითარება“, რომელიც წარმოადგენდა თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობის ვრცელ ანალიზს. ეკონომიკური განვითარების პრობლემა დროთა განმავლობაში თურქეთში აღარ არსებობდა. ეს ქვეყანა თავისი სწრაფი ეკონომიკური განვითარებით არის გამორჩეული. მაგრამ ბოლო პერიოდში-დაახლოებით 2 წლის უკან თურქეთისათვის აშშ-ს მიერ სანქციების დაწესებამ სერიოზული პრობლემა შეუქმნა ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მნიშვნელოვნად შეარყია ვალუტის კურსი, რომელიც დღემდე გრძელდება. ასევე თურქეთის ეკონომიკაზე ცუდათ აისახა რუსეთთან ურთიერთობის გარკვეულ წილად გართულება (იგულისხმება 2015 წლის ამბები).

ევროკავშირში თურქეთის სრულ უფლებიან წევრად შესვლისთვის როგორც უკვე ავღნიშნეთ ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ქურთების პრობლემის გადაუწყვეტელობა. ქურთების მიმართ უკვე დიდი ხანია ტარდება

პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქურთების ნაციონალური იდენტობის უარყოფისკენ. ქურთებთან სამხედრო კონფლიქტზე დიდი რესურსები იხარჯება. [29]

1996 წლის სექტემბერში ევროპარლამენტმა გადაწყვიტა, თურქეთისთვის ყველა ფინანსური დახმარება შეეწყვიტა, გარდა დემოკრატიის აღდგენისთვის გამიზნული თანხებისა. 1997 წლის ივნისში ევროკავშირის კომიტეტმა განაცხადა, რომ თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვა არ შეესაბამება ევროკავვშირის სტანდარტებს.

1997 წლის ლუქსემბურგის შეხვედრაზე ევროკავშირმა თურქეთი კანდიდატთა რიცხვში არ შეიყვანა. ამის მიზეზი გახდა მღელვარება თურქი სამხედროების კვიპროსზე ყოფნის გამო და დაძაბული ურთიერთობა საბერძნეთთან.

1999 წლის ჰელსინკში ევროსაბჭოს სხდომაზე თურქეთმა მიიღო კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და შესაბამისად ევროკავშირის საწესდებო მოთხოვნების შესრულების ვალდებულება.

2000 წლის ნიცის სამიტის გადაწყვეტილებით კი თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკება არ დაიწყებოდა მანამდე, სანამ ქვეყანა არ მიაღწევდა ევროკავშირის წინასწარი მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანას. იმავე წელს თურქეთი შეუდგა ევროკავშირის მოთხოვნებისა და პირობების თანდათანობით პრაქტიკულ რეალიზაციას, რათა მიეღო ამ ორგანიზაციის სრულ უფლებიანი წევრის სტატუსის მიღების მიზნით.

ევროკომისია მიესალმა 2001 წლის მარტში თურქეთის მიერ ეროვნული პროგრამის გამოქვეყნებას, როგორც „ევროკავშირის კანონმდებლობასთან ადაპტაციის მნიშვნელოვან ეტაპს“ და ევროპული ინტეგრაციის ინსტიტუციონალური და იურიდიული ნორმატიული ბაზის მიღებას.

ევროკავშირში შესვლის მზადების პროცესი თურქეთისთვის გახდა სამართლებრივი რეფორმების ძირითადი კატალიზატორი. თურქეთის პარლამენტმა

[29] Entrapped Again: The Way to EU.Membership Negotiations with Turkey.Frank Schimmelfennig .UCD Dublin European Institute. 2009 წელი. გვ 7.

მიიღო სამოქალაქო კოდექსი , რომელშიც ევროკავშირის რეკომენდაციის შესაბამისად შეტანილ იქნა ცვლილებები.

2003 წლის მარტში თურქეთმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ოქმს, რომელიც კრძალავს სიკვდილით დასჯას მშვიდობიან ვითარებაში. „ეს იყო თურქეთის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტებით უზრუნველსაყოფად“.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, გაუმჯობესდა ქურთებისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა, შემცირდა სამხედროების როლი ქვეყნის მართვაში და სხვა. ორ დღიანი სამიტი , რომელიც დაიწყო 2004 წლის 16 დეკემბერის ევროკავშირის სამიტი დასრულდა ევროკავშირის ისტორიული გადაწყვეტილებით, - დაიწყო მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა თურქეთის ევროპულ ამბიციებს.

რადგანაც, ევროკავშირის ლიდერებმა დადებითად შეაფასეს თურქეთის როგორც ერთადერთი ისლამური ქვეყნის საკანონმდებლო გარდაქმნა, რომელიც საჭირო იყო იმისთვის, რათა თურქეთის საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირის დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი გამხდარიყო, ამან კარი გაუღო თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებების წარმატებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა დარჩა არანაკლებ რთული სამუშაო და რის გამოც მთავრობას სჭირდებოდა დიდი ძალისხმევა თურქეთის, როგორც შიდა ასევე გარე პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად.

როგორც პოლიტიკის ანალიტიკოსები ამბობდნენ, ანკარას ევროკავშირთან დაპირისპირების საფუძველს თურქეთის რეგიონალური მნიშვნელობის გაძლიერება წარმოადგენს. ეს ქვეყანა ესაზღვრება სირიას, ერაყს და ირანს. ასევე ისიც აღსანიშნავია, რომ თურქეთის ქარიზმატული ლიდერის რეჯებ ტაიპ ერდოღანის გავლენა იმ არაბულ ქვეყნებშიც იზრდება, სადაც, რევოლუციების შედეგად რეჟიმები შეიცვალა.

ანკარას სტრატეგიული მოკავშირეობა უაღრესად მნიშვნელოვანია შეერთებული შტატებისთვისაც.[30]

სტამბულის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი ჩენგიზ აქთარი ამბობს, რომ ვაშინგტონის მხარდაჭერა ანკარას მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს. მისი თქმით, ამ ვითარებას ანკარა საკუთარი მიზნებისთვის წარმატებით იყენებს.

არმიის მიერ ინსპირირებული აგრესიული სეკულარიზმის წყალობით, თურქეთში ერთმანეთს შეერწყა მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ისლამი და რელიგიისგან თავისუფალი, დასავლური ტიპის დემოკრატიული მმართველობა. მთავრობის წევრები ირწმუნებიან, რომ თურქეთს აქვს განსაკუთრებული პოტენციალი, შეასრულოს ხიდის ფუნქცია დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის. [31]

---

[30] კ.გოგოლაშვილი, ს.კაპანაძე, „ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა“: სერიიდან „ ევროინტეგრაცია“, თბილისი 2006. 177გვ.

[31] თურქეთის გეზი, 2013 წელი. http://www.tabula.ge/ge/story/78717-turqetis-gezi (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)

თავი III

რეგიონული სამხედრო-პოლიტიკური და მუსლიმური საერთაშორისო ორგანიზაციები და თურქეთი

3.1. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ბაღდადის პაქტი და სენტო

გასული საუკუნის 50-იან წლების დამდეგს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის წინაშე მკაფიოდ დაისვა ჩვენთვის საკვლევი რეგიონის კომუნისტთა ხელყოფისაგან დაცვა. უმთავრესად კი საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტების პრობლემა ახლო აღმოსავლეთში. ფაქტია რომ თურქეთი უშუალოდ საბჭოთა კავშირის მეზობელი ქვეყანა იყო. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ეს აქტიურობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან რეგიონში გაიზარდა მისი გავლენა, რომელმაც ჩაანაცვლა დიდი ბრიტანეთი. როგორც უკვე ავღნიშნეთ აშშ-ს სურვილი იყო ახლო აღმოსავლეთში სსრკ-ს პოლიტიკური გავლენის შეესუსტება, რისთვისაც მან არაერთ ღონისძიებას მიმართა, რათა მის მიერ დასახული მიზანი ბევრად ეფექტური ყოფილიყო. ამ ღონისძიებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება „ბაღდადის პაქტის“ შექმნა. იმ დროს რეგიონში მიმდინარე ზოგიერთი დაძაბული სიტუაცია, როგორებიც იყო ისრაელსა და არაბულ

ქვეყნებს შორის კონფლიქტი, და ასევე ეგვიპტის ხელმძღვანლობით ანტი-კოლონიალისტური პოლიტიკა, კონკრეტულად პრეზიდენტ აბდ ალ გამალ ნასერის მიერ სუეციის არხის ნაციონალიზაცია და სხვა, აღნიშნული პრობლემების მოგვარება უნდა მოეხდინა ზემოთ აღნიშნულ ალიანსს- ბაღდადის პაქტს. აღნიშნული უნდა გამხდარიყო რეგიონში აშშ-ს ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური დასაყრდენი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აშშ-მ თავისი ყურადღება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, უფრო შორს გადაიტანა რაც გულისხმობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საზღვრების ჩამოყალიბებასაც. აშშ-ს მიზანი იყო ბაღდადის პაქტში შემავალი ქვეყნების მეშვეობით უფრო ადვილად მოეგვარებინა ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემები, მათ შორის, ისეთებიც როგორიც იყო ქვეყნებს შორის საზღვრების პრობლემა. ბაღდადის პაქტს უნდა დაეკავშირებინა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნები ნატოსთან, თურქეთთან, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის კოლექტიური უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციასთან და პაკისტანთან.

„ბაღდადის პაქტის“ ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა. მისი შექმნა შემდეგნაირად დაიწყო; 1954 წელს თურქეთმა და პაკისთანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიზანიც რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის გაზრდა იყო. 1955 წლის თებერვალში თურქეთმა და ერაყმა ხელი მოაწერეს „ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას“ ერაყის დედაქალაქ ბაღდადში, ამ შეთანხმების თანახმად მათ წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ სხვა ქვეყნებიდან მომავალი აგრესიისათვის.

იმავე წლის აპრილში დიდმა ბრიტანეთმა განაცხადა, რომ დაიცავდა კონტრაქტის პირობებს. მის ამ იდეას შეუერთდა პაკისტანი და საბოლოოდ ირანიც. იორდანიის მეფე ყოყმანობდა შეერთებოდა თუ არა ახლად ჩამოყალიბებულ ბაღდადის პაქტს, მაგრამ რადგანაც მისი და პაქტის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა ის აღნიშნულ ორგანიზაციაში აღარ გაწევრიანდა.

აშშ-მ ხელი მოაწერა ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს პაქტის წევრ ყველა ქვეყანასთან, მაგრამ ის ფორმალურად არ შეერთებია ამ ორგანიზაციას. მაგრამ ამისადა მიუხედავად ის მონაწილეობას იღებდა ბაღდადის პაქტის კომიტეტის სხდომებში და მას ქონდა აგრეთვე დამკვირვებლის სტატუსი.

მოკლედ განვმარტავთ, რომ ბაღდადის პაქტი არის 1955 წელს თურქეთს, ირანს, ერაყს, დიდ ბრიტანეთს და პაკისტანს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული პაქტი დაფუძნებული იყო სამხედრო და ეკონომიკურ მიზნებზე და წარმოადგენდა თავდაცვით ორგანიზაციას. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაციის მსგავსად, ბაღდადის პაქტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, კომუნისტური თავდასხმების თავიდან აცილება და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება. „ბაღდადის პაქტი“ იყო პირველი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა ახლო აღმოსავლეთში. თუ არ ჩავთვლით მის გაგრძელება „სენტოს“ მსგავსი ორგანიზაცია რეგიონში აღარ ჩამოყალიბებულა.

1958 წელს ერაყში მოხდა რევოლუცია, რის შედეგადაც დაემხო მონარქია და ერაყი გახდა რესპუბლიკა. ამის შემდეგ ერაყის ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გამოსულიყო ბაღდადის პაქტიდან, რომელიც მისთვის აღარ წარმოადგენდა ხელსაყრელ სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებას მისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, რადგანაც მან პროდასავლური და პროსაბჭოთა ორიენტაცია აიღო და ურთიერთობა გაამყარა სსრ კავშირთან.

მას შემდეგ რაც ერაყმა დატოვა პაქტი, 1959 წელს მას ეწოდა „ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია“ ანუ CENTO. მისი წევრი თურქეთი ისევ დარჩა, რადგანაც მისი პოლიტიკური ორიენტაცია არ შეცვლილა.

წლების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ახლო აღმოსავლეთში მოჰყვა ამ ორგანიზაციის პოზიციების შესუსტება, რადგანაც დროთა განმავლობაში ის უფრო ქმედითუუნარო გახდა. მიუხედავად უამრავი ხელის შემშლელი პირობებისა,

1956 წელს ეგვიპტის ლიდერმა გამალ აბდ ალ ნასერმა მაინც შეძლო სუეცის არხის ნაციონალიზაცია.

ასევე პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის. ისრაელი გამოეხმაურა სინაის ნახევარკუნძულზე ბრიტანეთისა და საფრანგეთის ძალების ჩარევას. ამ ინციდენტის შედეგად რეგიონში ბრიტანეთის პრესტიჟი შეილახა და რამაც ინგლისს ლიდერის პოზიციებიც დაათმობინა პაქტში.

1958 წლის მოვლენების სერია, რომელიც მოიცავდა ეგვიპტე-სირიის კავშირს, მათ გაერთიანებას ერთიან არაბულ სახელმწიფოდ, ასევე ერაყის რევოლუციამ და ლიბანის სამოქალაქო არეულობამ, საფრთხე შეუქმნა ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის შენარჩუნებას, რითაც დადასტურდა როგორც „ბაღდადის პაქტის“, ისე მისი გაგრძელება „სენტოს“ უუნარობა რეგიონული პრობლემების მოგვარებაში. ანუ ის სუსტი აღმოჩნდა იმაში, რისთვისაც შეიქმნა ის.

1959 წელს ერაყის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ამ ორგანიზაციის დატოვების შესახებ ბაღდადის პაქტის რეიტინგი რეგიონში კიდევ უფრო დაასუსტა. ის თავს ვეღარ ართმევდა გამკლავებოდა რეგიონში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას. როგორც უკვე ავღნიშნეთ ერაყის ბაღდადის პაქტიდან გასვლის შემდეგ (1959წ) სხვა ხელმომწერებმა, რომელთა შორის, იყო თურქეთი შექმნეს ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია CENTO. მიუხედავად იმისა რომ, აშშ არ იყო „სენტოს“ წევრი ხელი მოაწერა ორმხრივ დახმარების ხელშეკრულებებს პაკისტანთან, ირანთან და თურქეთთან რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ იგი აქტიურია და გააგრძელებს წევრების მხარდაჭერას.

აღსანიშნავია რომ აშშ-ს აქტიურობის და მიუხედავად CENTO არასდროს ყოფილა თავის წევრების კოლექტიური დაცვის გარანტია. ბაღდადის პაქტიდან ერაყის გასვლის შემდეგ, CENTO-ს ცენტრმა გადაინაცვლა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში და როგორც უკვე ავღნიშნეთ აშშ-მ განაგრძო ორგანიზაციის მხარდაჭერა, როგორც ასოციაციის და არა როგორც CENTO-ს წევრმა. CENTO-ს ასევე არც არასდროს შეუქმნია მუდმივი შეიარაღებული ძალები, მაგრამ აშშ მას ამ მხრივ დახმარებას მაინც

უწევდა. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მმართველობის დასასრულს ნათელი გახდა CENTO-ს წევრებისთვის, რომ ორგანიზაცია უფრო ეფექტური იყო ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობისთვის ვიდრე, სამხედრო ალიანსი. ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ 1979 წელს CENTO ოფიციალურად დაიშალა.[32] დასკვნის სახით მოკლედ ავღნიშნავთ, რომ ბაღდადის პაქტისა და სენტოს შექმნის ძირითადი მიზნები არ განხორციელებულა. მათ თავიანთი არსებობის მანძილზე არასოდეს შეუსრულებია სამხედრო ორგანიზაციის მოვალეობა რეგიონში და არც რომელიმე რეგიონული კონფლიქტის მოგვარებაში მიუღია მონაწილეობა. თურქეთის ამ ორგანიზაციების ისეთივე რიგითი წევრი იყო, როგორც ამ ორგანიზაციაში შემავალი დანარჩენი წევრი ქვეყნები.

3.2. ისლამური სამყაროს ლიგა და თურქეთს სწრაფვა ისლამური სამყაროს ლიდერობისაკენ

ისლამურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორგანიზაცია ისლამური სამყაროს ლიგა შეიქმნა 1962 წლის მაისში, საუდის არაბეთში, კერძოდ მექაში. 1963 წელს მიიღეს ამ ორგანიზაციის წესდება. ლიგა ოფიციალურად დამტკიცდა 1965 წლის 17 აპრილს, მექაში მოწვეულ საერთო ისლამურ კონფერენციაზე.

[32] ბაღდადის პაქტი (1955) და ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია (CENTO) https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/lw/98683.htm (უკანასკნელად გადამოწმებულია 03.04.2020)

ეხლა მოკლედ ვისაუბრებთ ლიგის მიზნებზე. ესენია: ისლამური კულტურის, ისლამური მოძღვრებისა და იდეოლოგიის გავრცელება; ისლამური ერთობისა და სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება; მუსლიმთა პოლიტიკისა და საქმიანობის კოორდინაცია; ყურანის ცოდნისა და მისი ღირებულებების გავრცელება; მუსლიმი ხალხების უფლებებისათვის ბრძოლის მხარდაჭერა; სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დამყარებული მსოფლიო მშვიდობისა და თანამშრომლობის მხარდაჭერა; მუშაობა საერთაშორისო მშვიდობის გასამტკიცებლად; ადამიანთა უფლებების პრინციპებისათვის, ყველა ხალხში არაბებში და არაარაბებში ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის რეალიზაციისათვის.

ლიგის საქმიანობაში ასევე ყურანთან ერთად შედის სხვა რელიგიური წიგნების თარგმნაც სხვადასხვა ენაზე; ასევე ლიგის ამოცანაა ისლამური ცენტრების (არსებობს 17 ქვეყანაში) დაარსება და მეჩეთების მშენებლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ლტოლვილებთან დაკავშირებული დამხმარე პროგრამები სომალში, პაკისტანში და სუდანში; ობლების თავშესაფრების მშენებლობა ბანგლადეშში, უგანდაში, ინდოეთში, ავღანეთის საზღვრებზე, სტუდენტთა სპონსორობა და სტიპენდიები სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყნებში; ასევე უნდა მოხდეს ლიგის შტაბ-ბინებში კონფერენციების, სემინარების, ლექციების და შეხვედრების ორგანიზება; ისლამზე ორიენტირებული გაზეთების, ჟურნალებისა და რადიოსადგურების მხარდაჭერა; ბიბლიოთეკების შექმნა და გაფართოება. ლიგაში შემავალი „ფიკჰის“ კომისია განიხილავს ახალ პრობლემებს ისლამურ იურისპრუდენციაში და გამოაქვს შესაბამისი იურიდიული დასკვნები და სხვ.

ისლამური სამყაროს ლიგას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, ახლა ეს არის აჰმედ მუჰამად ალი. რომელსაც ჰყავს სამი თანაშემწე, მათ შორის ადმინისტრაციულ-ფინანსურ და მეჩეთების საქმეებში. ისლ-ის ოფიციალური ენებია არაბულის გარდა ინგლისური და ფრანგული, და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ენებიც. ლიგის შტაბ-ბინას მექაში უზრუნველყოფს საუდის არაბეთი.

ისლ-ს აქვს საკონსულტაციო სტატუსი იუნესკოში, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში (EKO-SOS), და ასევე გაერო-ს ბავშვთა ფონდშიც (UNISEF).

ისლამური სამყაროს ლიგას გააჩნია თავისი ბეჭდვითი ორგანოები: ყოველკვირეული Muslim World News და ახბარ ალ-'ალამ ალ-ისლამი (არაბულად); ყოველთვიური The Call of the Truth; The Journal, და 'ვათ ალ-ჰაკკ და მაჯალლათ რაბიტათ ალ-'ალამ ალ-ისლამი (არაბულად).

თურქეთი ისლამური სამყაროს ლიგის წევრი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან გახდა. ეს ქვეყანა ისლამურ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყნად მოიაზრებს თავს და აქედან გამომდინარე, მისი აქტიური როგორც ამ, ისე სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებში გამორჩეულია. 2010-იანი წლების დასაწყისიდან თურქეთი იმყოფებოდა პოლიტიკურ თვითმფრინავზე რომელმაც მრავალი დამკვირვებელი დატოვა, როგორც შიგნით, ისე გარედან, გააფთრებული და შეშფოთებული. მმართველი მართლმსაჯულებისა და განვითარების პარტიის (AKP) დადგენილებამ, პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის და მისი შეცვლილი პოლიტიკური ალიანსების ხელმძღვანელობით, თურქეთი რეგიონალურად და გლობალურად გავლენიან მსახიობად გადასაღებად, ამ ათწლეულის პოლიტიკურ ლანდშაფტზე აღნიშნა. გარდა საგარეო პოლიტიკაში რელიგიის განლაგებისა, ეს დამანგრეველი სიმშვიდე გახდა უფრო მნიშვნელოვანი.

აქცენტები აქამდე ძირითადად დაისვა მათზე, ვინც ახლა "ჩვეულებრივი ეჭვმიტანილი" ხდებოდა: (რელიგიის საქმეთა სამმართველო (დიანეტი) და მისი ევროპული გაფართოება DITIB, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (TIKA) და მჭიდრო კავშირების მქონე ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაციები. AKP- ს ოფიციალური პირებისთვის). მნიშვნელოვანია ასეთი აქცენტი სამთავრობო ინსტიტუტებზე და მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ახორციელებენ ამ ახალ რელიგიურ – საგარეო პოლიტიკის კავშირს. მიუხედავად ამისა, იგი აკვირდება რბილი ძალის სტრატეგიების ფართო სპექტრს,

რომელსაც ანკარას აყენებს ახალი საგარეო პოლიტიკური პერსპექტივის, ანუ საზოგადოებრივი დიპლომატიის ძირითადი წინაპირობის შესაბამისად.[33]

ჩვენი აზრით, ეს სტრატეგიები სისტემატურად მიზნად ისახავს თურქეთის, როგორც მუსლიმური სამყაროს ლიდერის და მუსლიმი ხალხის მფარველის, გლობალური აღიარებისა და დამოწმების მიღებას. 2010-იანი წლების დასაწყისიდან, თურქეთის მმართველი პარტია იყენებდა მრავალგვარ ტაქტიკას, მათ შორის მობილიზაციას დიასპორის თემებშიც - თურქულ და არა თურქულს ერთნაირად, სხვადასხვა მუსლიმურ თემებში პრო-ერდოღანელ ინტელექტუალთა ქსელის მობილიზებასა და ცოდნის „კონტრ-ჰეგემონიური“ წარმოების მიზნით. თუ ისლამოფობიასთან ბრძოლის ფრთხილი რიტორიკა წარმოადგენს ამ მრავალჯერადი ტაქტიკის დისკურსულ ხერხს, არაბული გაზაფხული და საუდის არაბეთის ათწლეული კოალიციის საუნის ისლამისტებთან დეზინტეგრაცია მუსლიმთა მსოფლიო ლიგის (MWL) ინიციატივით (ეს არის 1962). თურქეთი, რომელსაც აქვს ამბიცია მოითხოვოს ჰეგემონიური პოზიცია მუსლიმურ სამყაროში.

ერდოღანის რადიკალურმა კონფიგურაციამ თურქეთის რეჟიმის შეცვლა მოახდინა მის იმიჯად, როგორც ახალი მესამე მსოფლიოალისტური ძლიერი ადამიანი. გამაალ აბდელ ნასერის სახელის მოგონება ახსენებს 1950-იან და 1960-იან წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის წინადადება ისევ განიხილებოდა, მცირე გამონაკლისების გარდა, ისლამური რბილი ძალის ათვისების პერიფერიული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას აქვს უნიკალური უპირატესობა, რომ ორივე კარტის თამაში შეძლოს: სუნიტური ლიდერების ბარათი, როგორც ხალიფატის ბოლო ადგილი, და ”ანტი იმპერიალისტური” მონათხრობი, რომელიც ცდილობს ერდოღანს დაასახელოს, როგორც ” მსოფლიოში შევიწროებულ მუსლიმთა ლიდერი”. მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და თურქეთ-

[33] გრ.ბერაძე, “ისლამი- ენციკლოპედიური ცნობარი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ-დასავლეთ ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი 1999, 105 გვ.

ყატარის ღერძებს შორის მიმდინარე ომები შეიძლება უბრალოდ დაწყებულიყო მრავალ დიასპორულ სივრცეში და რეგიონალური როგორც ჩანს, მუსლიმური სამშობლო, თურქეთი სერიოზულად ითვლება საუდის არაბეთის, როგორც მსოფლიო მოწინავე მფარველი მუსლიმების შემცვლელად.

თურქეთი რეგიონული ლიდერის როლს აღარ სჯერდება. რესპუბლიკის ტრანსკონტინენტური გლობალური ამბიციები განსაკუთრებით ბოლო წლებში გამოიკვეთა. რეჯეფ თაიფ ერდოღანის პრემიერ-მინისტრობის დროინდელი დაპირებები „განახლებული თურქეთის" შესახებ NATO-ს სტანდარტების არმიის, სწრაფად მზარდი ეკონომიკისა და მულტიპოლარული საერთაშორისო კლიმატის ფონზე საკმაოდ რეალისტური ჩანდა, თუმცა ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშეც დგას.

ერდოღანის სამართლიანობისა და განვითარების პარტია(AKP) თურქეთს 2002 წლიდან მართავს. ცენტრისტულ-მემარჯვენე AKP სოციალურ კონსერვატიზმსა და ისლამისტურ ღირებულებებს პროდასავლურ, პროამერიკულ კურსს უთავსებს და პრიორიტეტად ისევ კარგახანს მიაჩნდა ევროკავშირში გაწევრიანება.[34]

მიუხედავად იმისა, რომ ისლამური სამყაროს ლიგა შეიქმნა იქ, სადა ისლამი წარმოიქმნა - მექაში, თურქეთს სერიოზული ამბიციები ამოძრავებს ისლამურ სამყაროში.ის ამ მხრივ უპირისპირდება საუდის არაბეთს, რომელიც ისლამური სამყაროს ცენტრად მოიაზრება. თურქეთის ამ ამბიციას უფრო ღრმა ფესვები აქვს და ის ბოლო პერიოდის ერთ-ერთ მის აკვიატებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ცნობილია, რომ თურქეთის სულთნები XIV საუკუნიდან მოყოლებული, 1924 წლამდე ფლობდნენ ხალიფას ტიტულსაც, რომელსაც ფორმალური ხასიათი უფრო ჰქონდა ვიდრე რეალური. ფაქტია რომ სეკულარული თურქეთი, რომელის ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია და რომელსაც ევროკავშირში გაწევრიანების სურვილიც აქვს,

[34] თურქეთის გეზი, 2013 წელი. http://www.tabula.ge/ge/story/78717-turqetis-gezi (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.04.2020)

ასევე თავის თავს მოიაზრებს ისლამური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილადაც. ის ამით ორმაგ პოლიტიკას თამაშობს. მისი ამბიციები ისლამურ სამყაროში ლიდერობაზე ბოლო პერიოდში მკაფიოდ გამოიკვეთა მაშინ, როდესაც იერუსალიმი აშშ-მ ისრაელის დედაქალაქად აღიარა.

3.3. თურქეთი ისლამური თანაშრომლობისა (ითო) და ისლამური კონფერენციების (იკოს) ორგანიზაციების წევრი ქვეყანა

უნდა აღინიშნოს რომ, გაეროს შემდეგ ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია (OIC) არის მსოფლიოში მეორე უდიდესი ორგანიზაცია, რომელიც ვრცელდება 57 სახელმწიფოში და მოიცავს ოთხ კონტინენტს. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს მუსლიმური სამყაროს კოლექტიურ ხმას. რომლის მიზანს წარმოადგენს დაიცვას მუსლიმური სამყაროს ინტერესები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა შორის და განამტკიცოს საერთაშორისო მშვიდობა და ჰარმონია.

ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია დაარსდა ისტორიული სამიტის გადაწყვეტილებით, რომელიც ჩატარდა მაროკოს სამეფოში მე -12 რაზაბ 1389 ჰიჟრაში (1969 წლის 25 სექტემბერი) ოკუპირებული იერუსალიმის ალ-აქსას მეჩეთის კრიმინალური ცეცხლის შემდეგ.

დაარსების დღიდან თურქეთი არის ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციიის წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია მხარს უჭერს თურქული უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების დაცვას სხვადასხვა ქვეყნებში და მათი პრობლემების მოსაგვარებლად ყოველწლიურად გამოსცემს რეზოლუციებს სპეციალურად ამ

საკითხებთან დაკავშირებით (რომელიც მიიღება ყოველწლიურად თურქული უმცირესობის შესახებ საბერძნეთში, დასავლეთ თრაკიასა და დოდეკანეზე).

საკუთრივ თურქეთში არსებული ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციები ასე გამოიყურება:

თურქეთი მასპინძლობს ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის შემდეგ ორგანოებს, როგორებიცაა ერთი მუდმივი კომიტეტი, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის ეკონომიკური და კომერციული თანამშრომლობის მუდმივი კომიტეტი, სპეციალური დაწესებულების ერთი წარმომადგენლობა, ისლამური განვითარების ბანკის (IDB) ოფისი თურქეთში, ორი შვილობილი ორგანო, სტატისტიკური, ეკონომიკური და სოციალური კვლევისა და სწავლების ცენტრი ისლამური ქვეყნებისთვის (SESRIC), ისლამური ისტორიის, ხელოვნებისა და კულტურის კვლევითი ცენტრი (IRCICA), და ხუთი ასოცირებული ინსტიტუტი- ისლამური თანამშრომლობის ახალგაზრდული ფორუმი (ICYF), ისლამური ქვეყნების კონსულტანტების ფედერაცია (FCIC), ისლამური ქვეყნების სტანდარტებისა და მეტეოროლოგიის ინსტიტუტი (SMIIC), მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმი (IBRAF), ინტერ-ისლამური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქსელი ოკეანოგრაფიის შესახებ (INOC).

აღნიშნულმა ინსტიტუტებმა და კომიტეტმა მათი ამოცანების შესაბამისად, შექმნეს პროექტები წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის (COMCEC) ეკონომიკური და კომერციული თანამშრომლების მუდმივი კომიტეტი: COMCEC– ს თავმჯდომარეობს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი, კომიტეტის სხდომა ტარდება თურქეთში ყოველწლიურად, მინისტრების დონეზე და ერთხელ ტექნიკურ დონეზე.

COMCEC– ის ახალი სტრატეგია და შესწორებული წესდება მიიღეს 2012 წელს მექაში ჩატარებულ მეოთხე რიგგარეშე ისლამურ სამიტზე. COMCEC– ის ახალი

სტრატეგია დაადასტურა საბოლოო კომუნიკაციამ სტამბოლში მე–13 ისლამურ სამიტზე. სტრატეგიის შედეგად ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფები და COMCEC პროექტის დაფინანსების ინსტრუმენტები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. „ითო“-ს მიმართ თურქეთის პრიორიტეტებს შორისაა OIC საარბიტრაჟო ცენტრის შექმნა და OIC შეღავათიანი სავაჭრო სისტემის ძალაში შესვლა. „ითოს“-ს 34-ე მინისტერიალის შეხვედრა გაიმართა სტამბოლში, 2018 წლის 26-29 ნოემბერს, ხოლო „ითო“-ს 35-ე მინისტერიალის შეხვედრა გაიმართა თურქეთში, 2019 წლის 25-28 ნოემბერს. [35]

ისლამური ისტორიის, ხელოვნებისა და კულტურის კვლევითი ცენტრი (IRCICA): IRCICA, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს სტამბოლში, მოქმედებს როგორც ცენტრალურ პუნქტად და შეხვედრების ადგილად მეცნიერებისთვის, მკვლევარებისთვის, მხატვრებისთვის, ინსტიტუტებისთვის, ისლამური ისტორიის, კულტურის, ცივილიზაციის და ხელოვნების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის; ცდილობს აღმოფხვრას ცრურწმენები ისლამური კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ, შეიმუშავოს მათი სწორი ხედვა, აცნობოს მსოფლიო აზრს მსოფლიო ცივილიზაციაში მათი როლისა და ადგილის შესახებ და ხელი შეუწყოს უკეთეს გააზრებასა და დიალოგს მუსლიმებს და მსოფლიოს სხვა ხალხებს შორის; ატარებს კვლევას, აქვეყნებს წიგნებს, ბიბლიოგრაფიას, კატალოგებს, ალბომებს და სხვა საცნობარო ნამუშევრებს საზოგადოებრივი აზრის ამ საგნების ცნობიერების გასაძლიერებლად.

ისლამური ქვეყნების სტატისტიკური, ეკონომიკური და სოციალური კვლევისა და სწავლების ცენტრი (ითო): ანკარაში მდებარე „ითო“-ს ევალება წევრ სახელმწიფოებთან სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის შეგროვება, შეგროვება და გავრცელება წევრი სახელმწიფოების გამოყენებისთვის; წევრ სახელმწიფოებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესწავლა, შეფასება და ანგარიში, რათა

[35] ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩამოყალიბების ისტორია, 2016 წელი. https://www.oic-oci.org/page/?p_id=52&p_ref=26&lan=en (უკანასკნელად გადამოწმებულია 12.04.2020)

ხელი შეუწყონ წინადადებების გენერირებას, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის თანამშრომლობის გაღრმავებას; ორგანიზება გაუწიეთ ტრენინგის პროგრამებს შერჩეულ სფეროებში, რომლებიც მიმართულია წევრ სახელმწიფოთა გამოხატულ საჭიროებებზე, ასევე საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ზოგადი მიზნების შესაბამისად.

როგორც ყოფილი გენერალური დირექტორი, ელჩი მუსა კულაკლიკაია, CFM-ის 45-ე სესიაზე CICM- ის 45-ე სესიაზე გენერალური მდივნის ადმინისტრაციისა და ფინანსების საკითხებში აირჩიეს, შემოთავაზებული იქნა თურქეთის მოქალაქის ნებილ დაბურის კანდიდატურა და მისი დანიშვნის შემდეგ როგორც „ითო“-ს გენერალური დირექტორი და ის თანამდებობა დაიკავა 2019 წლის მარტში.

„ითო“ აქტიურად თანამშრომლობს გაეროსა და სხვა სამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა დაიცვას მუსლიმთა სასიცოცხლო ინტერესები და დაარეგულირონ კონფლიქტები ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ჩართულობით. „ითო“ ცდილობს გადადგას სხვადასხვა ნაბიჯები, რათა თავიდან იქნას აცილებული უპრეცედენტო ქმედებები და ის მკაცრად ურჩევს დანარჩენ მსოფლიოს მუსლიმების წინააღმდეგ აღმოფხვრას დისკრიმინაცია.

„ითო“-ს წევრი სახელმწიფოები 21-ე საუკუნეში ბევრ გამოწვევას აწყდებიან, აღნიშნული გამოწვევების წინაშე წევრმა ქვეყნებმა ისაუბრეს 2005 წლის დეკემბერში, ისლამური სამიტის მესამე რიგგარეშე სხდომაზე, სადაც შედგენილ იქნა ლურჯი ბეჭდვითი სახელწოდების ათ წლიანი სამოქმედო პროგრამა, რომელმაც თავისი დასახული მიზანი განახორციელა და წარმატებით დასრულდა 2015 წლის ბოლოს. ამის შემდეგ კი მიიღეს მომდევნო ათწლეულის „მემკვიდრე პროგრამა“ (2016-2025).

ახალი პროგრამა „ითო-2025“- გაუძღვება „ითო“-ს ქარტიის დებულებებს და აქცენტს აკეთებს 18 პრიორიტეტულ სფეროზე. ეს პრიორიტეტული სფეროები შემდეგია: მშვიდობისა და უსაფრთხოების, სიღარიბის დაძლევის, პალესტინისა და ალ-კუდსის, კონტრტერორისტული, საინვესტიციო და ფინანსების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, სურსათის უვნებლობის, კლიმატის ცვლილებისა და მდგრადობის,

მოდერაციის, კულტურისა და ინტერფისტური ჰარმონია, ქალთა უფლებების გაძლიერება, ერთობლივი ისლამური ჰუმანიტარული აქციები, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა. [36]

ითოს ძირითადი ორგანოები: ისლამური სამიტი, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, გენერალური სამდივნო, ეკონომიკისა და ვაჭრობის, საინფორმაციო და კულტურის სამი მუდმივი კომიტეტი. ასევე არსებობს სპეციალიზირებული ორგანოებიც. მათ შორისაა ისლამური განვითარების ბანკი და ისლამური საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია, ასევეა შვილი და შვილობილი ორგანოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ითოს წევრ ქვეყნებში, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.[37]

1972 წლის მაისში შეიქმნა ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია (იკო), რომელიც საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია. ის ჩამოყალიბდა ქალაქ ჯიდაში, რომელიც მდებარეობს საუდის არაბეთში, იმ გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომელიც მიიღეს 1969 წლის სექტემბერში რაბათში (მაროკო) მუსლიმი მეფეების, ისლამური სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურების პირველ კონფერენციაზე, ისლამური სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციებზე. 1970 წლის მარტში ჯიდაში მისი წესდება მოიწონა მუსლიმური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის მესამე სესიამ, რომელიც ასევე ჯიდაში გაიმართა.

„იკო“ შექმნილია რელიგიურ საფუძველზე და ამიტომაც მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში რელიგია - ისლამი თამაშობს მთავარ როლს. იკო აერთიანებს 54 სახელმწიფოს და ამ სახელმწიფოთა შორისაა თურქეთიც, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე ცხადია, რომ მასში გაწევრიანების უფლება აქვთ მხოლოდ მუსლიმურ

[36] ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, გენერალური სამდივნო, 2016 წელი. https://www.oic-oci.org/page/?p_id=52&p_ref=26&lan=en (უკანასკნელად გადამოწმებულია 12.04.2020)

[37] რ. გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი“, ტომი მეორე, თბილისი, 2019, გვ.80

ქვეყნებს, თუმცა როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, იკო-ს ზოგიერთ წევრ-სახელმწიფოში ისლამს არ აღიარებს მოსახლეობის დიდი ნაწილი.

აღნიშნულ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსი აქვთ კვიპროსის ფედერალური სახელმწიფოს მუსლიმურ თემს, (რომელმაც 1983 წელს გამოაცხადა ჩრდ. კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა) და მოზამბიკს.[38]

იკო-ს სამუშაო ენებია: არაბული, ინგლისური და ფრანგული. მისი მუდმივი შტატი 140 თანამშრომელზე მეტია, იკო-ს ადმინისტრაციულ ხარჯებს ფარავენ წევრი-სახელმწიფოები ეროვნული შემოსავლის შესაბამისად.

„იკო“ ახორციელებს ღონისძიებებს ისლამის სიწმინდის დასაცავად. 1989 წელს ისლამური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ სარწმუნოებიდან განდგომილად გამოაცხადა „სატანური ლექსების“ ავტორი სალმან რუშდი და მოითხოვა ამ ნაწარმოების ამოღება გაყიდვიდან. მან მოუწოდა თავის წევრ-სახელმწფიოებს გამოეცხადებინათ ბოიკოტი იმ გამომცემლობებისათვის, რომელებიც უარს განაცხადებდნენ რუშდის საწინააღმდეგო ღონისძიებებში ჩართვაზე.

„იკო“ ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს იმ მუსლიმურ თემებს, რომლებიც ზარალდებიან ომებში და ბუნებრივი კატასტროფების დროს. მან დახმარება აღმოუჩინა გვალვით დაზარალებულ ისეთ ქვეყნებს როგორიცაა (ბურკინა ფასო, გამბია, გვინეა, ბისაუ, ჩადი, მალი, ნიგერია, სენეგალი, მავრიტანია,). ამას გარდა ომით დაზარალებულმა ბოსნია-ჰერცოგოვინას მოსახლეობამ 1993 წლის აპრილში იკო-სგან დახმარების სახით მიიღო 80 მლნ აშშ-ს დოლარი.

თურქეთი, „იკო“-ს შეუერთდა 1995 წელს. ნელ ნელა გაიზარდა მისი გავლენა ამ ორგანიზაციაში. ის აქტიურ როლს ასრულებს კონფერენციების მუშაობაში. ”თურქეთის ხელმძღვანელობით, იკო შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და უარყოფდეს” ცივილიზაციათა შეტაკებას ”,

[38] James Ciment, Kenneth Hill, (eds.). Encyclopedia of Conflicts since World War II, Volume 1. Routledge. pp. 185–6.

რომელიც ასახელებს გლობალურ პოლიტიკაში განვითარებულ მოვლენებს, განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ.”

თურქეთს, როგორც საუკუნებრივად მუსლიმურ ქვეყანას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში და აქტიურ როლს ასრულებს მის ორგანოებში, რომლებიც მოწოდებულნი არიან გააფართოვონ ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა ისლამურ ქვეყნებს შორის.

იკო აქტიურია პოლიტიკურ სფეროშიც (სადაც რა თქმა უნდა თურქეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია). 1980 წლის იანვარში იკოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ მოითხოვა საბჭოთა ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა ავღანეთიდან. იკო მხარს უჭერს პალესტინელებსაც. 1981 წელს ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის სამიტმა გამოაცხადა ჯიჰადი „იერუსალიმისა და ოკუპირებული ტერიტორიების გასათავისუფლებლად“. 1982 წელს ისლამური საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო ისრაელის ბოიკოტისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ისლამური ბიუროები. 1990 წლის აგვისტოში იკოში შემავალი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების უმრავლესობამ დაგმო ერაყის აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ და მოითხოვა ერაყის ჯარების გაყვანა ქუვეითიდან, 1991 წელს კი უარი თქვა ერაყის მოთხოვნაზე მოეხსნათ მისთვის ეკონომიკური სანქციები. იკო ასევე მხარდამჭერი იყო ბოსნია-ჰერცეგოვინის მუსლიმი მოსახლეობისაც, ის იცავს ასევე ინდოეთის შტატების - ჯამუს და ქაშმირის მუსლიმთა უფლებებსაც; იკო- სთვის მიუღებელი იყო და ამიტომაც დაგმო სომხეთის პოზიცია აზერბაიჯანთან ყარაბაღის გამო კონფლიქტში. ამიტომაც იკოს ერთ-ერთ სამიტზე (9-11, XII, 1997 წ.) თეირანში მიღებულ იქნა რეზოლუცია აზერბაიჯანის წინააღმდეგ სომხეთის აგრესიის შესაჩერებლად. იკო-მ დღის წესრიგში დააყენა

საერთო ისლამური ბაზრის შექმნა, რომელიც მოიცავს დედამიწის 26 მლნ კვ. კმ-ზე ფართობზე მცხოვრებ 1 მილიარდზე მეტ მუსლიმს.[39]

ამრიგად ყველა იმ ღონისძიებებში, რომელსაც იკო ახორციელებს თურქეთი ინტენსიურადაა ჩართული. ის ასე იყო ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებიდან დღემდე.

[39] გრ.ბერაძე, "ისლამი- ენციკლოპედიური ცნობარი", საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ-დასავლეთ ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი 1999, 91 გვ.

დასკვნა

თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე აქტიურად ჩაერთო და გაწევრიანდა საერთაშორისო ორგანიზაციებში. პირველი მათგანი „ერთა ლიგა“ იყო, რომლის მხარდაჭერითაც ამ ქვეყანამ სირიის ტერიტორიის ერთი ნაწილი „ალექსანდრეტას სანჯაყი“, დღევანდელი ჰათაიილი დაიკავა. ამ ტერიტორიას დღემდე ედავება სირია თურქეთს და არ ცნობს მას თურქეთის შემადგენლობაში. აღსაღნიშნავია, რომ იმავე „ერთა ლიგის“ მხარდაჭერა ვერ მიიღო თურქეთმა, როდესაც მან გამოთქვა სურვილი: „მოსულის ვილაიეთის“ თურქეთისათვის გადაცემის საკითხში. ეს „ვილაიეთი“ერაყის მნიშვნელოვან პროვინციად დარჩა. თურქეთი ასევე გაეროს ერთ-ერთი წევრი ქვეყანაა ისე, როგორც სხვა დანარჩენი სახელმწიფოები.

თურქეთი ნატოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა. მას ამ ორგანიზაციაში თავისი სამხედრო სიძლიერიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ყოველთვის. ამის დასტურია კვიპროსის საკითხი. კუნძული კვიპროსის მოდავე ორი ქვეყანა საბერძნეთი და თურქეთი ნატოს წევრები იყვნენ, მაგრამ ეს საკითხი თურქეთმა თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ისე, რომ ნატოსგან შესაბამისი რეაგირება არ ყოფილა.

ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე ნატოსა და თურქეთს შორის რიგ საკიხებში შეუთანხმებლობამ იჩინა თავი, მაგრამ მიუხედავად ამისა თურქეთს ნატო და ნატოს თურქეთი ჭირდებათ.

სერიოზული პრობლემები და გამოწვევებია თურქეთსა და ევროკავშირის ურთიერთობებში. ის ამ კავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა ვერ გახდა, მიუხედავად თურქეთის მცდელობისა და სურვილისა. ბოლო პერიოდში კი ეს საკითხი თითქოს მინელდა.

თურქეთი აქტიურადაა ჩართული, როგორც მუსლიმური სამყაროს საერთაშორისო, ისე რეგიონულ „ახლო აღმოსავლურ“ ორგანიზაციებში. ის იყო ჯერ ბაღდადის პაქტის, შემდეგ სენტოს წევრი ქვეყანა.

„პანოსმანიზმის“ იდეოლოგიიდან გამომდინარე თურქეთი ისწრფვის ისლამური სამყაროს ლიდერობისაკენ. აქედან გამომდინარე ის „ისლამური სამყაროს ლიგის“ (ისლ) ერთ-ერთი აქტიური წევრი ქვეყანაა. თურქეთი ასევე აქტიურად მონაწილეობს ისლამური თანამშრომლობისა და ისლამური კონფერენციების ორგანიზაციების საქმიანობაში („ითო“, „იკო“) მისი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია და ამავე დროს თურქეთის რესპუბლიკა ოსმალეთის სამართალმემკვიდრეა. ბუნებრივია, რომ თურქეთი, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია, მისი სეკულარობისდა მიუხედავად ამ ქვეყნის ჩართულობა ისლამურ ორგანიზაციებში ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც ისლამურ სამყაროში ხდება, ის აისახება თურქეთზეც და ეხება ამ ქვეყანასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატიაშვილი ზ. ცნობარი თურქეთზე“. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი 23. თბილისი 1999 წ.
2. ბერაძე გრ. “ისლამი- ენციკლოპედიური ცნობარი“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთ ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი 1999.
3. გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“. ტომი მეორე. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. თბილისი 2018.
4. გიგინეიშვილი ო. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბილისი, 1963
5. გოგოლაშვილი კ. ს.კაპანაძე, „ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა“: სერიიდან „ ევროინტეგრაცია“. თბილისი 2006.
6. მაკარაძე ე. თურქეთის ისტორია (1918-2010) ბათუმი 2019
7. სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი. თბილისი 2011.
8. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი 2007.
9. ჩიტაძე ნ. ნატო- ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი 2008.
10. Ciment J. Kenneth H. (eds.). Encyclopedia of Conflicts since World War II, Volume 1. Routledge.
11. Charles W. Kegley, Eugene R. Wittkopf. World Politics. New York. 2002.
12. Entrapped Again: The Way to EU.Membership Negotiations with Turkey.Frank Schimmelfennig. UCD Dublin European Institute. 2009 y.
13. Fortna B. C. Imperial Classroom: Islam, the state and Educatin in the Late Ottoman Empire. Oxford University Press, 2002 y.

14. Kili S. Kemalism in Contemporery Turkey. IPSR, 1980, Vol. 1, N. 3, Political Ideology: It is Impact on Contemporery Political Transformations.
15. Martin Shaw, the new western way of war, first published in by polity press, 2005
16. Ronald D. Asmus: Reinventing NATO (Yet Again) Politically, NATO Rewiev, Spring 2005.
17. The North Atlantic Treaty Organization (NATO): A Strategic and Operational Overview. George C. Marshall European College of International and Security Studies. 2007y.
18. Woodrow Wilson Papers: Series 14: Supplement, 1880-1946; 23, Raymond B. Fosdick, 1912, Aug. 21-1923, Nov. 28

ინტერნეტრესურსები

19. თურქეთის სტატუსი ნატოში 2003. http://www.eu-nato.gov.ge/ge/nato/about (უკანასკნელად გადამოწმებულია-26.03.2020)
20. ნატო-თურქეთი-სირია 2009. https://www.radiotavisupleba.ge/a/nato-turkey-syria (უკანასკნელად გადამოწმებულია-26.03.2020)
21. ISAF-ის მისია და თურქეთის როლი ავღანეთის სახელმწიფოს აღდგენაში, 2005. www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/the-isaf-mission-and-turkeys-role-in-rebuilding-the-afghan-state (უკანასკნელად გადამოწმებულია-26.03.2020)
22. გაერომ თურქეთი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში გააკრიტიკა 2016 წელი http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/24489-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)
23. გაერო თურქეთს აფრინში დასახლებულ პუნქტებთან სიფრთხილისკენ მოუწოდებს, 2018 წელი https://imedinews.ge/ge/msoflio/48222/gaero-turqets-aprinshi-dasakhlebul-punqtebtan-siprtkhilisken-moutsodebs (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)
24. თურქეთში გაეროს ბანკი გაიხსნება, 2018 წელი https://m2b.ge/post/237848-turqetsi-gaeros-banki-gaixsneba (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)
25. გაერო-ს გენერალური მდივანი რუსეთს და თურქეთს სირიის იდლიბის პროვინციაში ვითარების სტაბილიზაციისკენ მოუწოდებს, 2019 წელი https://1tv.ge/news/gaero-s-generaluri-mdivani-rusets-da-turqets-siriis-idlibis-provinciashi-vitarebis-stabilizaciisken-mouwodebs/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)

26. თურქეთის გეზი, 2013 წელი. http://www.tabula.ge/ge/story/78717-turqetis-gezi (უკანასკნელად გადამოწმებულია 30.03.2020)
27. ბაღდადის პაქტი (1955) და ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია (CENTO) https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/lw/98683.htm (უკანასკნელად გადამოწმებულია 03.04.2020)
28. თურქეთის გეზი, 2013 წელი. http://www.tabula.ge/ge/story/78717-turqetis-gezi (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.04.2020)
29. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩამოყალიბების ისტორია, 2016 წელი. https://www.oic-oci.org/page/?p_id=52&p_ref=26&lan=en (უკანასკნელად გადამოწმებულია 12.04.2020)
30. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, გენერალური სამდივნო, 2016 წელი. https://www.oic-oci.org/page/?p_id=52&p_ref=26&lan=en (უკანასკნელად გადამოწმებულია 12.04.2020)